# ცისკარი.

## 1870

### იჳლისი

წელიწადი მეთოთხმეტე.

---

წოდება თხზულებათა:


I. ფიქრი განდეგილისა. (ლექსი) ალ. აკ. .
II. წყარო (ლექსი). მისივე.
III. ერთობა, ჭაბუკობა, მოხუცებულება დ̃ სიკჳდილი. (ლექსი.) იოსებ ქაჩუხა-შჳლისა.
IV. ბეატრიჩე ჩენჩი (მოთხრობა.) გ. ასათიანის
V. ოსების გერისთობა. კონსტანტინე ბერმენოვის
VI. წიგნი მიწერილი რედაქტორთან. . . . გ.


---


ტფილისი.
მარტიროზიანის ტიპოგ

# ფიქრი განდეგილისა

ერთხელ დაღონებული ბნელიანსა ღამეში
დარდით დ ჯავრით სავსე ვწანწალებდი ქუჩებში.
ვფიქრობდი: განქრა ჩემთჳს ამ სოფლის ნეტარება,
მაინც, საბრალო გულო! სიცოცხლე გენატრება!
განა შენ არ იყავი! ქვებით რომა ჩაქოლეს,
მართალ გიძიეს შური. აი რა მოგიგონეს:
მოყვასისა მტერი ხარ, მოყვას უთხრი ორმოსა,
ყოველ კეთილ განძრახვას აქრობ, ჰყრი ნაცარსა.
ხომ ღმერთმა უწყის, გულო! რაც რომ მე ფიქრი მქონ-
და,
რაც რომ ჩემი სურვილი, მე მაშინ მისატოდა.
ვანბობდი: ძმანო! ვგმინამს, თავი ვანებოთ შინსა,
ვიშრომოთ მამულისთჳს დავეხსნათ ძმის მტრობასა,
მაგრამ ვინ გამიგონა დამაყოლეს მე ქვები.
როდის იქმნება განქრენ ჭეშმარიტის მტრები.

ალ. აკ...

ქ. ქუთაისს.

# წყარო

ოხ წყარო! წყარო,
წყნარად მჩქეფარე,
აღარ გესტუმრო
სევდით მღელვარე.
წყარო! ხომ გახსომს
ის დილა ტკბილი,
როცა შენთან ვიყავთ
ტრფობით აღვსილი.
ერთათ ვიცქერდით
გულით მღიმარეს.
ვეტრფობოდით, ულხენდით
შენს არე მარეს.
იმ დროს წყარო-ჯან
შენ ვერას გრძნობდი,
ჩუჱნ ნეტარებას
ვერ გვიმოწმებდი.
ჩვეულებრივად
ჩიქ-ჩიქი
სკენ

ჰქონდა შენ ფიქრი;
განქრა ის ჟამი,
დროი ნეტარი,
ვეღარ ვიხილო
ტურფა მღიმარი.
ოხ წყარო! წყარო!
აღსრულდა ყველა!
ვერ გავიხარო
ცრემლთა მაქჳს დენა:
ამასა გვედრი,
ჩემო მჩქეფარე!
ის ჩემი მხვედრი
კიდევ ახარე.
დაე ვიტანჯო,
ის ცოცხალ იყოს
ბედმა სიამე
მაზედ მოიღოს,
ოხ წყარო! წყარო!
წყნარად მჩქეფარე,

ალარ გესტუმრო
სევდით მღელვარე.
როც მესტუმროს ის,
ასე უთხარი:
მოთქმითა ტირის
სევდით გამქრალი.
აღელდი, წყარო!
თუ რომ აღელდეს
შენმა ზვირთებმა
პასუხი გასცეს.
მაშინ ეგება
მე მომიგონოს
და მცირე შვება
გულს მომივლინოს.
მაშინ, წყარო-ჯან
გეტყვი მადლობას,
შორიდამ გიძღვნი
მე ტრფიალებას.
ახ წყარო! წყარო
წუნარად მჩქეფარე,
ალარ გესტუმრო
სევდით მღელვარე

ალ. აკ....

ქ. ქუთაისს.
1870 წ.

# ყრმობა ჭაბუკობა მოხუცებულება და სიკჳდილი.

ცხრას თვეს საშოსა შინა, დედა ზრდის თავის ყრმასა.
რა მოვა დრო შობვისა, ამბობს ვაების ხმასა;
ნამეტნავის სიმწარით თითქმის დაიგლეჯს თმასა,
ბოლოს შობავს ოხრობით, ჩჩვილსა და ახალს ყრმასა,

ნახავს თჳსგან შობილს ყსმას, არა მკჳდარსა, სუ-
ლიერს,
გონებაზედ მოსული, სიტყჳას იტყჳს ბედნიერს;
რაიც რომ უშნო ჰქონდეს, მიამზგავსებს მშჳენიერს,
და იმისა საზრდელად რმეს აწოებს ზომიერს.—

აღიზრდება ყოველთჳს მამა-მისის ქონებით;
შევა სიჭაბუკეში, არ იქმნება მონებით.
მშობლის სწავლა არ ესმის, არც არის მოთმინებით
და საქმეს იმოქმედებს, მხოლოდ თჳსის გონებით.—

…ცის წლისა შემდგომად, სიტყჳას იტყჳს ხმიანად;
… თავს ჰგონებს ყველაზედ ჭკვიანად.

გონებად გამოხატულს ეღირსება გვიანად.
ბოლოს თჳთონვე იგრძნობს, რომ ყოფილა ზიანად.

სოფელსა შეიყვარებს, ჰგონებს მას ბედნიერად,
დღე, ღამე და ყოველს წამს დადის, მშჳენიერთ მზერად.
ამბობს „დრო ახლა არის ყოფნა მხნედ და ძლიერად.
„ცოდვებს მაშინ ვინანებ, როს ვიქმნები ხნიერად.

თავის სიჭაბუკეში ლხინითა სჭამს სადილსა,
ყოველთჳს აღასრულებს, თჳსსა ბოროტს წადილსა;
გონებითა თჳსითა არ იფიქრებს სიკჳდილსა,
არცა არად მიიჩნევს ღმრთის რისხვით ქადილსა.—

სამოცის წლის შემდგომად მოქმედებულს იგონებს,
ღმერთსა და წმინდანებსა, დიდის კრძალვითა ჰმონებს;
ცოდვების სინანულსა თჳთ ღირსეულად ჰგონებს.
ზოგი ისე მოკჳდება, რომ ველარც შეინანებს.

ბევრსა უქმად გაუვლის, იმ დროს ის სინანული,
წარსდგება ღჳთის წინაშე საიქიოს წასული.
ცოდვებისა ჰატიჟად, იქმნება დასაჯული;
და წარსული ქჳეშკნელად იქმნება გატანჯული.

ოჰ სიკჳდილო! კაცს მოჰკლავ და მიწად გარდააქც
ცოდვილებსა კეთილზედ, ცოდვებისგან მოაგცევ;
საითაც რომ ივლტოდეს, მაინც არსად გააქცე
სიკჳდილს შემდგომ, ყველა სიმდიდრესაც დაა

სიკუდილს ვინ მოურჩება, რადგან ესრედ არს წერა;
ჩუჩნს თვალთ წინ დგას სიკუდილი, მაინც არა გვაქუს მზერა.
ბოროტებას ვმოქმედებთ, რადგან გვაქუს გულის მგერა.
ყველამ თავს შევაცროთ არ გვარგებს სხვისი ცქერა.

ი. ქარუხა-შვლი.

7 დეკემბერს
1860-სა წელსა.

(შემდეგი.)

—აა! შენ წმინდა ქალწულო ქალო, განა ამ გვარ საქმეებს სჩადიხარ—ახ! შენ უნამუსო და გარყვნილო! წმინდათ მიგაჩნდა შენი თავი და შენი ქალიშჳლება? და ჩუმათ ემებ საყვარლებსა! მითხარ ახლავე ვინ იყო ისა, რომ ასრე მწარეთ ეხვეოდი კისერზედ?

ბეატრიჩე გაშტერდებოდა, და შეაცქერდებოდა თვალებში მამასა, რომელიც სიავისა გამო ყვიროდა:

—სთქჳ ჩქარათ ვინ იყო ისა თუ გსურს მე შენ არ მოგკლა ეხლავე:

ბეატრიჩე არ იღებდა ხმასა, ამისათჳს ფრანჩესკო მოკიდებდა ჴელსა თჳსსა ქალიშჳლსა თმაშია და დაუწყებდა გლეჯვასა მუჭ-მუჭათ, არ დაკმაყოფილდებოდა რა ამითა დაუწყებდა მას ლანძღვასა კინებასა გარყვნილის სიტყვებითა, რომელნიც კაცის ყურში გასაგონარი არ იყო და ამასთანავე სცემდა გულში, სახეში და კისერში. ოხ! რა საშინელ განწვალებასა მიეცემოდა საწყალი ბეატრიჩე. ვის შეეძლო გაბედვით შეხედვა მისსა მშჳენიერ თვალებზედა, რომელიც ეხლა იყო დასივებული ნამეტნავი ცემისა გამო და მშჳენიერ ალისფერისა ნაზისა ლოყებზედა რა და თეთრსა შუბლისაგან მოწვეთამდნენ დაბექილნი სისხლნი და ცრემლნი, ვარდის ფერ ტუჩებითგანა მისა წამოსკდებოდა წყაროსავითა გახურებულ[illegible] ცემისა გამო სისხლი, მაგრამ ბოროტებითა სავსე[illegible]ის-მასა მისსა გული არ დაეწვებოდა მას ზედა, და [illegible]თო ჩ[illegible]

ვდა რა მიწაზედ უმანკო ბეატრიჩესა, შესდგებოდა მას ზედა წიხლებითა და მერმე ის ათრევდა თმითა ჰოლზედა, მაგრამ ბეატრიჩე არ ამოიღებდა ხმასა და მიეცემოდა განუზომელსა მოთმინებასა, ოლონ გამწარებული იმისა წევითა გამო ამოიქვნეშიდა რამოდენამე სიტყვებსა.

—ვაიმე! ვაიმე!

გაათავებდა რა წვალებასა მას ზედა, მერმეთ გაერიდა ყოველთა მოსამსახურეთა მარციოს მეტსა, რომელსაც ეტყოდა:

—შენ მარციო როგორც ჩემი ერთგული ხარ წადი და მოიტა ჩემის კაბინეთითგან კლიტენი და მოდი მალე, რათა ეს უსირცხვილო სარდაფში ჩავაგდო.

აღასრულებდა რა მარციო ბრძანებასა ფრანჩესკოსი წარიყვანდნენ საწყალ ბეატრიჩესა სარდაფში.—მარციოს მიჰყვანდა წინეთ ბეატრიჩე და უკან მიჰყვებოდა ფრანჩესკო, და მიიყვანდნენ რა ბეატრიჩესა სარდაფთან: ფრანჩესკო ეტყოდა უკანითგან მარციოსა: კელი ჰკარ და ისრე შეაგდე, მაგრამ მარციო ვითომც აღასრულებს ბრძანებასა მისსა, მიაწვებოდა კედელზედა და ბეატრიჩეს შეუშვებდა მშჳდობიანათ სარდაფშია.—შეამწყვდევდა რა ბეატრიჩესა, ამ დროს მარციოს ჩამოესმებოდა ამ სარდაფითგან კმა; რომელიც იძახოდა:

—„ვაი! როგორ მშიერი და მწყურვალი ვკჳდები და როგორ დამატყუილა იმ უმღრთომა და კაცის მკვლელმა.“

ფრანჩესკო მიხვდებოდა რა ალიმჰის ხმასა, რომელიც …რ იყო მკჳდარი, დაატყუილებდა მარციოს ვითომც

ამ სარდაფში პაპამან მისმან, მოკლა შიმშილითა კაცი ვინმე და სული იმა კაცისა მუდამ კვნესის და იძახის ამ გვარათ, მაგრამ მარციო იგრძობდა რა მისსა ბოროტებასა, იფიქრებდა: სწორეთ კიდევ ვინმე იქმნება ამა სარდაფში აგრე შეწუხებული, როგორც ბეატრიჩე ფრანჩესკოსაგან. მიიყვანდა რა ფრანჩესკო ბეატრიჩესა სარდაფში, სადაცა იყო ბნელი ჰკრამდა ჴელსა და ეტყოდა:

—წადი დაწყევლილო და ეხლა გასინჯე პური და წყალი სინანულისა.

საწყალი ბეატრიჩე, მრიელი ჴელის კვრის გამო, შევარდებოდა სარდაფში წამოკრამდა ქვაზედ ფეხსა და დაეცემოდა საშინლათ, რის გამო იტკენდა ტუჩებსა—და გარდიქცევოდა. და რამოდენიმე ხნისა შემდეგ მობრუნდებოდა, განახელდა თვალებსა და შეხედამდა, რომ სულ ღამეში და ბნელში იყო და კაცი მოსმარე მისთჳსა არ იყო.—მერმეთ მიწყოდა მიახლოვდებოდა კედელსა და მიაწვებოდა მას,--საწყალი ბეატრიჩე მიეცემოდა განუზომელსა ფიქრსა და ამბობდა თავისთჳს.

—ვაი მე!ვაი, ღმერთმან მიმატოვა მე! არვის სულდგმულთაგანთ არ ძალ უძთ შველებად ჩემდა—არ ვის. შენ არ დამსჯი მე უფალო! მისთჳს რისა გამო მე ეს დამემართა, რამეთუ იყო შენდა გამოგზავნილი კაცი საშველებლად ჩემდა, მაგრამ არ მოხდა... გვიდო! სიცოცხლეო ჩემო გვიდო:—ოხ! ვაიმე ვგონებ შენ ეხლა მკუ̂დარი ხარ და ბაასობ ჩემზედა ჩემს საყვარელ ვირგილისთან და ორნივე ერთათ მიმელით მე. ოხ! ღმერთო ჩე
მო

მო! გვიდო მე შენ გთხოვ, რომ შენი სიკუ̂დილი მე არ დამაბრალო, აკი გითხარი თავიდგან, როდესაც მე შენ შემიყვარე რომ მე უბედური ვარ მეთქი ꝺ შენ არ დამიჯერე ꝺ მეც შემიყვარდი უმეტეს შენისა სიყვარულისა. ეხლა რა ვქნა.—რისთჳს არს ცოდვაი მოკვლა თავისა თჳსისა? არა ესა რომ ცოდვა არ იყვეს, მე ამდენხანს მივსცემდი ბოლოსა ჩემს გამწარებულ სიცოცხლესა, მაგრამ ამისათჳს არ მალმიმს.—უფალო ჩემო! მე შენ არ გაბრალებ, ჩემს ტანჯვასსა. რამეთუ შენს საკუთარს შჳლსა იესო ქრისტესა, თჳთონ დასდევ ზურგზედა ჯვარი სასჯელისა თჳსისა, მაგრამ მე იმ გვარი ტეშილისა ჯვარი დამსდე, რომ მე მისი ზიდვა არ მალმიმს, ამისათჳს ვეჴობ მას ꝺ ვისაც ჴსურს არლილოს ისა ꝺ ამისათჳს მე მსურს მალე დავლიო დღენი ჩემნი.—

იტყოდა რა ამასა ბეატრიჩე, გაიქცევოდა საშინლათ ბნელსა, სარდაფში, ეტაკებოდა თავითა კედელსა ꝺ დავარდებოდა უსულ-გულოთა, რითაც ჴსურდა მოეკლა თავი თჳსი, მაგრამ სული მისი მაინც არ ამოვიდოდა გვამიდგან.—

---

სიკუ̂დილი ადგილს ვიტანში

თავი XIV

რა საკჳრველია უმჯობესი იქმნებოდა ბეატრიჩესათჳს ^̂ძილი, მაგრამ სქელი თმანი მისნი, რომელიცა

ჰქონდა მას დახვეული თავზედა, არ აძლევდნენ ნებასა ბეატრიჩესა აღსრულებად თჳსისა სურვილისა დ ინახამდნენ თავსა მისსა რომელიც მოხვდებოდა მწარეთა კედელზედ, უვნებელად თუმცა თავი მისი ატკივდებოდა საშინლათ. რომლისა გამო გარდაიქცეოდა, მაგრამ რამოდენიმე ხნისა შემდეგ მობრუნდებოდა დ მოიკიდებდა თავზედა კელსა, რომელიც გამოუთქმელათ ებრუებოდა დ არა გაეგებოდა რა სად იყო დ როგორ მოსდა ამ ბნელსა ალაგსა.—ცოტა ხნის შემდეგ ბეატრიჩეს ჩამოესმებოდა ხმა, რომელიც უძახოდა მასა, ბეატრიჩე წამოიწეოდა დ დაუკვირდებოდა დ ხმა ისა იმ გვარად დაიწყებდა მახილსა სახელსა მისსა; ბეატრიჩეს გაახსენდებოდა ამ ჟამად სიტყვანი თჳსის ძმის ვირგილისა, რომელსაც უძახოდა დედაი. დ ამისათჳს ბეატრიჩემ, მიამსგავსა ეს ხმა დედის ხმასა, დ ძმისა თჳსისა ვირგილისა, დ ამისათჳს გაუხარდებოდა ბეატრიჩესა, წამოდგებოდა დ ჰასუხსა სცემდა განცხრომილ სიხარულითა:

—მადრობას გწირავ დედაო ჩემო! მადლობას გწირავ ჩემო საყვარელო ძმაო ვირგილი, რომ მოხვედით საშველებლად ჩემდა მაგრამ ერთი მითხარით გვიდო რისთჳს არ მომიყვანეს, რომ თქუჱნისა წინეთა ამბორსა მეყო ტუჩნი ჩემისა საყვარლისა. განა დედა ის ჩემი ქმარი არს დ არა შემრცხვება მე კოცნად მისსა, რამეთუ კოცნაი ჩუჱნი არ იქმნების წინაადმდეგ სამღრთო წერილისა. . .

ხმა მოახლოვდებოდა უმეტესად.

—ბატონო ბეატრიჩე გამოფხიზლდით, ნუ დაეცემით სულითა, ნუ შეშინდებით, ეს მე ვარ მარციო და გიმახდი თქუენა.

და მარციო შემოვიდოდა ამ დროს ბეატრიჩესთან ჩუმათა, ბეატრიჩე იყო მიცემულ ზეციურ ქუეყნიერობასა იმ ჟამად, და მარციოს ხმანი იმას არ ესმოდნენ და ამისათჳს მარციო ეტყოდა:

—რას ანბობთ, რას ჰფიქრობთ, ბატონო ბეატრიჩე, გამაიფხიზლეთ მე თქუენთან მრიელ საჭირო საქმე მაქუს, ფრანჩესკო ჩენჩი ავი ბებერი არის მიცემულ მილად და თუმც თქუენი ნება და სურვილი იქმნების მე იმას აღარ გამოვაღვიძებ საუკუნოდ.

—რას ანბობ მარციო მე შენი სიტყვანი არ მესმის ჩემი თავი სავსე არს ღრუბლითა.

—აი რას ვანბობ ის ვინცა, რომ თქუენ ასრე გაწვალებთ, ისა ვინც რომ თქუენი საკუთარი მამა არს; ისა ვისაც თქუენი სიკუდილი სურს, თუ ცოცხალი დარჩა, იმასა ხმინამს, გნებავსთ, რომ ის მოკუდეს ხუთი მინუტის შემდეგ? იმისი სიცოცხლე ჩემს დანის წვერში არის.

ბეატრიჩე მობრუნდებოდა და პასუხსა აგებდა.

—არა, არა მარციო ღმერთმან დაგიფაროს ამ საქმისაგან და თუ შენ ეს საქმე აღასრულე მე შენ შემეზარები და კიდევაც გაგცემ, იყოს და იცოცხლოს მან, რამეთუ ბოლოს შეინანებს.

შეინანებს! სად გაგონილა, რომ მგელს შეენანე-

ბიოს თჳსი ცოდვანი.

—რა ვქნა ღმერთმან და მან იცოდეს, ნეტამც მე მოვკჳდებოდე და განშორდებოდა მასა, მარციო თუ ღმერთი გრწამს განაშორე ჩემი სული ჩემის სხეულისაგან და დამკარ რაიმე თავზედ, რომ ეხლავე დავლიო სული ჩემი.

—არა ბატონო ბეატრიჩე, გთხოვთ რომ მოითმინოთ, და არა შეიმულოთ თავნი თქჳენი, მე ეხლა უნდა გიასხლოთ, ეგების განიღვიძა იმა უღმრთომა მამამან თქჳენმან, და თუმც შეგვიტყო არავინ გვიშველის მისი ჴელიდგან.

წავიდოდა რა მარციო გზაშია მოაგონდებოდა ის კვნესა, რომელიც უწინ შამოესმებოდა და მიაყურებდა მეორე კარსა სარდაფისას, სადაცა დაურაკუნებდა ჴელსა და გამოვიდოდა ხმა საწყალი ალიმპისა:

—ღმერთო ჩემო! ვკჳდები მიშველეთ, როგორ მიმატოვეთ მიშველეთ რამე.

მარციო შეპირდებოდა ალიმპის მოშველებასა. და წავიდოდა თავის აღასთან, რომელიც ეტყოდა მარციოს:

—წადი წაიღე კლიტე და გააღე კარი ბეატრიჩესი და მიუტანე მას წყალი და პური და ამასთანავე წაიღე მალამო და დასცხე სახეზედა თუმც მართლა ნატკენი აქუს რაიმე. მიუტანდა რა მარციო პურსა და წყალსა ბეატრიჩესა ეტყოდა მას:

—ბატონო ბეატრიჩე! აი საჩუქარი, რომ ოგიგზავნა თქჳენ მამამან თქჳენმან; და ლ სას

მას ჰურსა და წყალსა.

მერმე მარციო დაბანდა ნაზათა პირის სახესა მისა და დასცხებდა მას მალამოსა და იტყოდა.

—ღმერთი როგორ ითმენს ამა საწყლის ქალწულის ქალისა წვალებასა, და არ გარდუხდის იმა უღმრთო ფრანჩესკოსა. შეუხვევდა რა პირის სახესა ბეატრიჩესა, მარციო ეტყოდა მას ნელისა სიტყვებითა.

—ბატონო ბეატრიჩე, რადგანაც არა გნებავთ, რომ მე მამა თქუენი მოვკლა, დღესვე უნდა გიახლოთ მე აქედამ თქუენის სახლიდამ.

—მარციო რას ანბობ მაგასა, გვიდო მომიკუდა და მიმატოვა მე და შენც გინდა მიმატოვო მე?

—ვინ სთქუა გვიდო მოკუდაო?

—მაშ გვიდო ცოცხალია?

—ცოცხალია იმას არა უშავს რა.

ბეატრიჩეს სიხარულით გაეღებოდა გული შიგნითა.

—ბატონო ბეატრიჩე! მე თქუენ გაგიტყდებით, რისთჳს მსურს მე მოკვლა მამა-თქუენისა.—მე მყავდა მშუენიერი ლამაზი ცოლი, რომელიც მომიკლა ერთხელ ვიტანში უღმრთომან ფრანჩესკომ, აი მოისმენეთ მე თქუენ გიანბობთ: ერთხელ გზაში შაეყარა ჩემი ცოლი ფრანჩესკოსა, რომელსაც მოეწონა საშინლათ და სთხოვა ჩემს ცოლსა აღსრულებად მისის წადილისა, და რადგანაც ჩემი ცოლი არ დაჰყვა ნებასა, ამისათჳს მომი-[illegible] რამეთუ [illegible]ცხლა მიიღეთ აზრშია და თქუენმა ქალწულებამ [illegible]ს საქმე, მე იმისათჳს დაუდექ მამასა თქ-

ჭძნსა ლაქიათ, რომ მსურს აღვასრულო სურვილი ჩემი.

—მაშ მარციო! გსურს რომ მამაი ჩემი მოკლა? არა მე შენ გევედრები რომა იმას სიცოცხლე აპატივო.

ამ დროს მარციოს გაახსენდებოდა ალიმპი და მობრუნდებოდა წასვლად ალიმპისთანა.—დაღონებული ბეატრიჩე თან გაჰყვებოდა რათა ჰსურდა შეეტყო საიდუმლო, რომელიც იცოდა მარციომ.

---

თხოვნა

## თავი XV

მივიდოდნენ რა ალიმპისთან მარციო და ბეატრიჩე, შეალებდნენ კარსა და ნახვიდნენ შიმშილით ჭკჳა ნაკლულსა ალიმპის, რომელიც ივინებოდა და გაჯავრებულხათ ანბობდა:

—ახ! შენ გარყვნილო ფრანჩესკო—შენ კაცის მკვლელო! შენი გულისათჳს რამდენი ცოდვანი შევიკრიფე: საწყალსა სტოლიარსა სახლი დაუწვი, თჳთონაც დაიწო, ცოლ-შჳლი ობლათ დაურჩა, ქალი მოვიტაცე, დამკოდეს და მოვედი შენთან დასამალავათ და შენ კეთილის მაგიერად ეს მიყავი, მომიცალე, მე შენ გაცნობებ როგორც უნდა კაცის კვლა.

და ამ დროს მარციო მისცემდა მას საჭმელ სასმ

ლისა, გაიმაგრებდა რა მითი ტანსა ალიმპი, მოიხედამდა ⁊ შეხედამდა ბეატრიჩესა, რომელიც იყო ნუგეშის საცემად მოსული მასთან, ⁊ სთხოვდა პატივსა მამაზედა, რომ ალიმპის განთავისუფლების შემდეგ არ მოეკლა ფრანჩესკო,—რათა ბოლოს თჳთონ შეინანებს.— ალიმპი შეევედრებოდა მარციოს გაშვებად მისსა, მარციო შეჰპირდებოდა, როგორც პატიოსანი კაცი, გაშვებად დილასა, რადგანაც ეხლა დრო არ იყო განთავისუფლებად მისსა. დაამშვიდებდა რა ალიმპის მარციო მოვიდოდა ბეატრიჩესთან სარდაფში ⁊ მისცემდა ბეატრიჩესა დანასა საჩუქრათ, რომლითაც უშველიდეს თავსა ბეატრიჩე, თუ საჭირო იქმნებოდეს.

ბეატრიჩე შეევედრებოდა მარციოს მოტანად მისთჳს საწერ-კალამისა, რადგანაც ჰსურდა დაეწერა წიგნი პაპასთან, გასამცხადებლად თჳსისა მწუხარებისა, მარციო აღუსრულებდა სურვილსა ⁊ ამასთანავეც დაარიგებდა ბეატრიჩეს, გინიცობა არის თუ ფრანჩესკომ დააპირა წამოსვლა ბეატრიჩესთან, ამ დროს მარციო თოფს გაისვრის ⁊ მითი შეიტყოს ბეატრიჩემა ⁊ დამალოს საწერ-კალამი,—დაარიგებდა რა ბეატრიჩესა მარციო წამოვიდოდა თავის აღასთან, რომელიც კიდევ იწვა თავის საწოლზედ ⁊ ორნი რაზბოინიკნი, ბერის ტან სამოსში იყვნენ გრაფთანა, რომელიც დაარიგებდა ამა რაზბოინიკებთა ⁊ შეევედრებოდა მათ მოკვლად მარციოსა, რომელსაც გამოუშვებს ხვალ დილით როკა პეტროლაჲია, ⁊ დახვდნენ მას გზაზედა მოსაკლავად მისსა, რო-

მელიც იჯდება ცხენზედა, დ ექმნება ჩაცმული ჩემი წითელი სახვეველი.—მარციო ჩუმათ გაიყურებოდა კარითგან დ შეიტყობდა საიდუმლოსა თჳსისა ალისა.—დ როდესაც ის ორნი ბერნი გამოვიდოდნენ გარეთა, მარციო შეეყრებოდა იმათა დ ორნივეს იცნობდა, როგორც თჳსთ უწინდელთ ამხანაგთა, დ საქმეს თჳსის სურვილისამებრ გარდააკეთებდა მათი შემწეობითა, გაუშვებდა რა იმათა თუთონ მარციო შევიდოდა ალასთან რომელიც მისცემდა ბრძანებასა წასვლად ხვალ დილით როკაპეტროლაში, წაღებად თჳსის წითელ სახვევლისა, რომელსაც საუკუნოდ აჩუქებს იმას დ მომზადებად იქ სახლებისა, რადგანაც გრაფსა სურს წასვლა იქა—მარციო შეჰპირდებოდა დ გამოვიდოდა გარეთა მოსამზადებლათ იარაღებისა.—ამ დროს ფრანჩესკო მოინდომებს ბეატრიჩეს ნახვასა დ წავა სანახავად მისსა, შეხედამს რა მარციო მიმავალსა საპყრობილეს გრაფსა, თოფს გაისვრის, ფრანჩესკო შეიტყობს რა ეშმაკობასა მისსა, გაცეცხლდება, მაგრამ მარციოს არას ეტყვის, რადგანაც იმედი ჰქონდა მოვლად მისთა ხვალვე თულების ჴელშია, რომელნიც შეჰპირდნენ აღსრულებად მისისა სურვილისა.

მარციო მოემზადება რა, დილაზედ ადგება ჩუმათა, გამოუშვებს ალიმპის საპყრობილიდგან, გამოეთხოვება ბეატრიჩესა, წაიღებს წითელს სახვევლსა, შეჯდება ცხენზედა დ დაადგება გზასა.

---

## მდინარე ტიბრი.

## თავი XVI

წავიდოდა რა დეკომო თავ მოძულებული თავის სახლიდამ დიდხანს არ მობრუნდებოდა სახლშია, ცოლი მისი ლუიზა უცდიდა იმას მოუთმენლივ, და ჰფიქრობდა თავის ქმარზედა უოველს წამში; იქმნებოდა რა ლუიზა მიცემულ განუზომელს ფიქრსა თავის ქმარზედა, ამ დროს შემოვიდოდა დეკომო სახლში, სადაცა ჰპოვებდა ცოლსა და შვილებსა, ჩაცმულ დახურულთა უმჯობესად, და ამისათჳს გამოკითხამდა ცოლსა, ვინ მისცა იმას შეძლება ჩაცმად და დახურვად შვილებისა, ლუიზა რადგანაც დაფიცებული იქმნებოდა არ გამოტყდებოდა, და ამისათჳს დეკომო იფიქრებდა, რომ ცოლსა მისსა ჰყვანდა ვინმე საყვარელი, და იმისგან შოვულობს ამ ნივთებსაო, და ამისათჳს მიეცემოდა უმეტეს მოწყენილობასა და თავ მოძულებასა, და ამისათჳს ეტყოდა ცოლსა რამოდენიმე საწყენ სიტყვებსა, ცოლი უმჯობეს გაგულისებული იმაზედ დაუწყებდა იმას ჯავრობასა.—ამისათჳს შეძულდებოდა რა თავი დეკომოსა, ეტყოდა ცოლსა:

—მაჩვენე ლუიზა! რომელი არს ამათგანი ჩემი შვილი, რომელსაცა გამოვეთხოვო და წავიდე ჩემთჳს?

—რას ანბობ დეაკომმო! ესენი ყველანი შენი შჳლები არ არიან?

—არა, რადგანაც შენ ცილი შემწამე მე, შენმა შჳლებმაც შემიძულეს მე, ⴃ აღარა ვარ ამიერიდგან საჭირო მისთა, ⴃ ამისათჳს შენ მაინც გებრალებოდესთ საწყალნი შჳლნი ჩემნი, ⴃ მოუარდე იმათა დედობრივისა სიყვარულობითა, ⴃ არ მოაგონებდე იმათ მამასა თჳსსა, შენ გეხვეწები, რომ მალე დაგავიწყდე; თუმცა ცრემლნი გარდმოვარდნილნი თვალთაგან შენსა ჩემზედა მალედ გაშრებიან, მაგრამ მაინც გთხოვ, ნუ დაიშურებ ჩემზედ ერთს მწვეთს ცრემლსა, ⴃ მოგცეს უფალმან უმჯობესი ბედი ⴃ ქმარი როგორც შენს გულს უნდოდეს.

იტყოდა რა ამ სიტყვებსა დეაკომმო, ლუიზას გული დაეწვებოდა ⴃ ეტყოდა თავის შჳლებსა.

—შჳლებო, მიდით მამა თქუჱნთან ⴃ ნუ გაუშვებთ იმასა.

შჳლები იმ წამსვე მიცვივდებოდნენ დეაკომმოსთან, ერთი მუხლზედ კოცნას დაუწყებდა, მეორე კალთაში ჴელს წაავლებდა ⴃ არ უშვებდა, მესამე სკამზედ შესდგებოდა საკოცნელათ მამისათჳს კისერში, მაგრამ დეაკომო მაინც გამოეთხოვებოდა რა შჳლებსა, წავიდოდა პირდაპირ მდინარე ტიბრთან დასახჩობათ თავისა თჳსისა.

ამ დროს ლუიზა გამოუდგებოდა უკანით ქმარსა ⴃ დაუწყებდა მახილსა, მაგრამ ვერ გააგონებდა იმასა, უცფათ შევარდებოდა გვიდოს სასახლეში, სადაცა ჴმოდი-

ბდა გვიდოსა მსხდომარესა, მარციოსა ჲ ალიმპისა შუა, ეტყოდა რა ლუიზა გვიდოსა დჟაკომოს ანბავსა, გვიდო იმ წამსვე წამოვარდებოდა ადგილიდამა, წაიყვანდა მარციოსა ჲ წავიდოდა საშველებლად დჟაკომისა, ლუიზა ჲ ალიმპი თან გაჰყვებოდნენ იმათ ჲ ამ დროს ალიმპი დარჩებოდა რა მარტო ლუიზასთან, გამოუტყდებოდა მას თავის ყოფა-ქცევაში ჲ ეტყოდა, რომ თითონ მან ალიმპიმ გრაფის ფრანჩესკოს ბრძანებით მიუტანა მას წიგნი სავსე ტყუილებითა, რომელშიაცა ეწერა ტყუილი ყოფა-ქცევა მისი, რამეთუ იყო დაწერილ თავის მამიდგან ფრანჩესკო ჩენჩისაგან, ჲ რადგანაც ფრანჩესკოსა ჰსუროდა თქუჱნ შორის ერთმანერთისა შეძულება ის წიგნი მე გამომატანა გარდმოცემად თქუჱნდა, რისა გამო საწყალი დჟაკომო თავსა იხჩობსო.—

გაიგებდა რა ამასა ლუიზა უცფათა გაიქცეოდა სახლში ჲ მივიდოდა საწყალ სტალიარის ცოლთანა, რომელიც იწვა კრავოტზედ, ჲ დაიფიცვიდა მას უფალსა, თხრობდა მისთჳს სამართალსა, თუ რაიმე კავშირი სიყვარულობისა ჰქონდა მას დჟაკომოსთანა, საწყალი სტოლიარის ცოლი შეფიცვიდა მას, რომ სახელი დჟაკომოსი პირველი მისი გაგონება არს.

ლუიზა დარწმუნდებოდა, ჲ როდესაც გვიდო გარდაარჩენდა დჟაკომოსა ტიბრში დახჩობისაგანა ჲ მოიყვანდნენ მას სახლში, მაშინ ლუიზა დავარდებოდა მუხლთა მოდრეკით წინაშე თჳსის ქმარისა ჲ შესთხოვდა მას პატივსა, რამეთუ უბრალოთ აწყენინა მან დჟაკომოსა,

ქმარსა გული მოუბრუნდებოდა, და ორნივე ცოლ-ქმარნი ჩაეკვრებოდნენ ერთი ერთმანერთსა და დაუწყებდნენ კოცნასა.

---

## დამნაშავი ღამე.

### თავი XVII

მეორე დღეს დჟაკომო იყო დაპატიჟებული გვიდოსთან სადილათ და საღამოზედ გაათავებდნენ რა სადილსა, დჟაკომო წამოვიდოდა დაღონებული სახლში და როდესაც დაწვებოდა დასაძინებლათ თავის ცოლთანა, მას დაესიზმრებოდა ვითომც წყალში იღვრჩებოდა და წამოიძახვიდა ძილშია,—«მოკუდი! მოკვდი!» გამოეღვიძებოდა რა დჟაკომოსა, შეკრთებოდა და ნახვიდა რა თავისსა ცოლსა თავის გვერდით მწოლარესა ჩეეკვრებოდა მაგრათა და აკოცებდა ძლიერ და ეტყოდა ცრემლითა:

—უმჯობეს იქმნებოდა ჩემთჳს სიკუდილი.

—როგორ! შენ სწუხარ, რომ მობრუნდი ცოლშჳლში, რომელთაც შენ ძრიელ უყვარხართ!

—არა, მაგრამ შენც გრძნობ, რომ ჩემთჳს უმჯობესი იქმნებოდა რათა დავმხჩვალვიყავი.—და ამითი გაათავებდნენ ბაასობასა და კელ მეორეთ დაეძინებოდათ.

იმავე საღამოს რიმიდგან გავიდოდნენ მარციო და ალიმპი, რომელნიც იყვნენ პირველნი მტერნი ფრანჩესკოსი.

რამოდენიმე დღისა შემდეგ ერთხელ განთიადს ფრანჩესკო აჭურიდა თავის მოსამსახურეთა თავიანთ ქვეშაგებითგანა, და მოამზადებდა ყოველთა სამგზავროთ და უბრძანებდა იმათა დაბლად ჩასვლასა, რომა მზათ იყვნენ ახლავეთ გზაზედ გასვლათ.—ბეატრიჩე, რომელიც იყო ჩანწყვრთეული სარდაფში, უცფათა დაინახვიდა თჳსისა საჯერობილესა წინედამ რამოდენიმე ცხენოსანსა და აგრეთვე კარეტასა, რომელშიც იყო მომზადებული მისთჳსა და იმ წამსვე ბეატრიჩე იგრძნობდა, თავისა მგზავრობასა.—

გამოიყვანდნენ რა ბეატრიჩესა სარდაფიდამა, ჩააგდებდნენ კარეტაში, სადაცა მამა მისი ჭკრამდა ჴელსა და მიარტყამდა კარეტის კარებსა, ამ დროს ბეატრიჩე მოუბრუნდებოდა მამასა და ეტყოდა:

—მამავ! მომიხსენე მე, რამეთუ მაქჳს სათქმელად თქჳენდა რამოდენიმე სიტყვანი.

—გაჩუმდი, ხმას ნუ იღებ, დაჱგდე ადგილსა შენსა.

მაგრამ ბეატრიჩე დაიკრიფავდა გულზედა ჴელთა და განუმეორებდა:

—მამავ მომისმინე მე ღუთის გულისათჳს, რამეთუ საქმე არს თქჳენ სიცოცხლეზედა.

ფარნჩესკო არ ამოიღებდა ხმასა და მიაწყერდა სიტყვებსა მისსა ფარისევლობასა; და ამისათჳს უბრძანებდა მოსამსახურეთა, დაკლეტვად კარეტის კარისა და ზედ ალაფარდისა ჩამოშვებად.—და თჳთონ შეჯდებოდა ცხენზედა, და გაჭყვებოდა უკან კარეტასა და წავიდოდნენ როკა

პეტროლაში.—ბეატრიჩეს მგზავრობა ემსგავსებოდა მიცვალებულის განსვენებასა და არა ცოცხალ ადამიანისა მგზავსებასა;—სიღამოზედ მივიდოდნენ დანიშნულ ადგილზედ როკა პეტროლაში.—

---

გაშლილითა თმითა, თვალითა ზევით აღებულ, ჴელნითა დაკრეფილნი გულზედა, ფერხთ მოდრეკითა სდგას საწყალი ბეატრიჩე ერთს ოთახში, თჳსის მამისა სახლში, სადაც დაბინავდებოდა მამა მისი როკა პეტროლაში ოთახი ისა, სადაცა იმყოფებოდა დამწყვდეული ბეატრიჩე, იყო განკვირვებულისა მორთულებითა: ჰქონდა მარტო ერთი ფანჯარა, რომელიცა იყო ჴრული რეშოტკითა, კრავოტი იდგა მშუჱნიერი, მორთული ძვირფასისა მორთულებითა, ხის სტოლზედ იდვნენ ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელნი.—

უღმრთომა მამამან მისმან ფრანჩესკომან ისრე დააბნელა ის ერთი ფანჯარა ტილოს ფარდითა, რომ საწყალი ბეატრიჩე ვერა ხედამდა მის გამო ცასა და როდესაც დილაზედ მზე თავს ამოჰყოფდა, ფრანჩესკო ბრძანებდა ჩამოშვებად სქელისა ტილოისა ფარდისა იმა ფანჯარაზედა, სადაცა ბეატრიჩე, ხანდის ხან რეშოტკებისა შუაში ხარობდა ცქერითა ცისა და ვარსკვლავებისა, და ეხლა საპყრობილესა მზგავსი ოთახი მისი მრთლათა დაბნელდებოდა სქელისა ტილოისა ფარდისა გამო.—

ოხ!!! შენ საწყალო ბეატრიჩე! ცაი, რომელ შენ აგრე

კიყვარდა, ცაი, რომელსაც შენ საიდუმლოსა შენსა გარდასცემდი, ცაი, ვარსკვლავებითა, რომლითაც ხარობდი, ცაი, რომელზედაც დაღრუმულსა გულსა შენსა აუოლებდი, ეხლა ავმან მამამან შენმან მთლათ მოგისპო დანახვა სინათლისა მისისა.

საწყალი ბეატრიჩე, მიჩვეული ცისა შეხედვისა ᲓᲐ დაიმედებულ შეხედვად ხისა ფოთლების, სცდილ აბდა რეშოტკებისა ᲓᲐ სქელ სალაფარდისა შუაში შეხედვად მისთა, მაგრამ სურვილი მისი დარჩებოდა მუდამ ჟამს დაუსრულებელი ᲓᲐ ნატვრიდა იოტის ოდენსა წმინდა ჰაერსა, რომელიც ულმრთომა მამამან მისმან იგიცა მოუსპო,—როდესაც ბეატრიჩეს დაეძინებოდა დილითა ᲓᲐ მიეცემოდა განუზომელსა ტკბილსა ძილსა, ულმრთოი მამაი მისი გამოგზავნიდა მისსა ოთახში მუშებსა ᲓᲐ ალესვინებდა ჯუჯუტანებსა, სიდამაც ჰაერი შემოდიოდა, ᲓᲐ მსხვილსა ფიცრებსა აკვრევინებდა ფანჯარაზედა, რომ სინათლე არ შემოსულიყო ბეატრიჩისა ოთახში—საწყალი ბეატრიჩე, რომელიც იქმნებოდა მიცემულ დამშვიდებულსა ძილსა, ჩამოესმებოდა რა საშინელი რახუნი მუშებისა, ასტკივდებოდა თავი, ᲓᲐ ტკბილი ძილი დაეკარგებოდა თვალთაგან მისსა.—

იყო რა ბეატრიჩე დამწყვდეულ საპყრობილესა, სადაცა არ შამოდიოდა არცა სინათლე ᲓᲐ არცა იოტისა ოდენი წმინდა ჰაერი; ქალწული ქალი აალებდა თვალებსა ზევით ცისკენა, რომელსაც ვერ უმზერდა, დავარდებოდა ფერხთ მოდრეკითა ᲓᲐ ამხობდა:—უფალო ჩემო!

ნეტავი თუ მართლა მიმატოვე მე!

საწყალი ბეატრიჩე ასდგებოდა რა ზევითა, ფერხნი მისნი დასუსტებისა გამო მოსკდებოდნენ და თვითონ დავარდებოდა თავის საწოლ კრავოტსა ზედა, სადაცა დაემინებოდა ტკბილისა ძილითა.

დაემინებოდა რა ბეატრიჩესა დაესიზმრებოდა, ვითომცა თჳსი სულითა და გულით საყვარელი გვიდო ჴელებს უქნევდა იმასა, ბეატრიჩე თავისა მხრითა ძილშია, გაუწოდებდა ჴელებსა ჩასახუტებლად მისთა, რომელსაც ამბორსა ჰყოფდა ძილშია, და ამ დროს გამოელვიძებოდა რა ბეატრიჩესა, ჴელნი მისნი დარჩებოდნენ განშვერილნი, და გვიდო არსად იქნებოდა, და ამისათჳს განშვერილთა ჴელთა დაღონებულად ჩამოუშვებდა. შეატყობდა რა თჳსსა თავსა დატყვილებასა სიზმრისა გამო, ამომქვნეშიდა საშინლად, და დაიხურამდა რა საბანსა, ოქროსა ფერნი თმანი მისნი გარდმოეფინებოდნენ ბალიშსა ზედა.—

—არა, შენ უბედურო ბეატრიჩე! (ეუბნებოდა ბეატრიჩე თავისსა თავსა) დრო არს, რომ იცოდე, რომ შენი გვიდო შენთან აწ აღარ მოვა, ან სად შეუძლიან იმასა მოსვლად ჩემს საპყრობილეშია, ილოცე გვიდოსთჳს. უმჯობეს იქმნება, რომა უფალმან თავის გულისა ცოლი შეახვედროს და შენ იმას აწ ველარ ნახამ და განუზომელნი ცრემლნი დაასველებდნენ მისსა ბალიშსა, რომელზედაცა ჰქონდა დადებული თავის ალისფერი ლოყები.—რამოდენიმე ხნისა უკან ბეატრიჩესა ისთევეთ

მიემინებოდა და ნახვიდა სიზმარში; ვითომცა გვიდოზედ ჯვარს იწერს და ღიმილი დაუწყებდა ამ დროსა მილში თამაშსა, მისსა ვარდის ფერ ტუჩებზედ.—

---

იქმნებოდა რა ბეატრიჩე მიცემულ ტკბილსა სიზმარსა ღიმილით, ამ დროს, კარი საპყრობილისა მისი გაიღებოდა ჩუმათა და მისგან გამოჩნდებოდა თავი თეთრითა თმითა, ჰერმეთ გული, და მერმეთ მრთელი სხეული კაცისა, რომელიც იყო გამოხვეული გრძელ სახვეველშია, წითელ შლაპითა თავზედა, ის იყო გრაფი ფრანჩესკო ჩენჩი, რომელიც წერას შემოჰყვანდა იმა ოთახში,—შემოვა რა უღმრთო ბებერი დაუკვირდება სუნთქმასა ბეატრიჩესა, ფერხთა ცერებით გარდაბიჯებს, გაიწევა წინეთა და გაჩერდება ბეატრიჩისა კრაოტთან.—

ღრმა მილსა, რომელსა იქმნებოდა მიცემულ ბეატრიჩე, ეშხითა სავსე ქალწული ქალი ისა იქმნებოდა წამოწოლილ მშჳჱნიერთა კრავოტზედ და ოქროს ფერნი ნაწნავნი თმანი მისნი როგორ ერთ ალაგსა დაშლილნი ექმნებოდა დაყრილი თოვლისა მებრ თეთრსა გულზედა.

რას უმზერს ფრანჩესკო ამდენ ხანს! განა ვერ გასძლა მშჳჱნიერებითა თჳსის ქალიშჳლისა, რომელზედაცა იყო დაყრილნი ოქროს ფერნი თმანი მისნი? . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

დაინახვიდა რა ამა უბედურებასა გვიდო, რომელიც შემოვიდოდა გრაფის მერმეთ, გახელდებოდა სიყვარულობისა გამო ბეატრიჩესი, და თუმც არა სურდა ამოღებად ხანჯლისა, რომელიც ჰქონდა მორტემული წელზედა, მაგრამ ხანჯალი ამოღებული დაურჩებოდა ჴელლშია. ფრანჩესკო იგრძნობდა რა უგანითვე ჴელსა კაცისასა, მოაბრუნებდა თავსა. ამ დროს გვიდო შეხედამდა იმ გვარ შეხედულობითა, რომ ფრანჩესკო იმ წამსვე იგრძნობდა თავის სიკჳდილსა.—ფრანჩესკო შიშისა გამო მიატოვებდა თავისსა ბოროტებასა, მაგრამ გვიდო იმითი არ დაკმაყოფილდებოდა, მოატანდა მას თმაში ჴელებსა და გარდმოიღებდა კრაოტიდგანა, ფრანჩესკო შიშით დაალებდა პირსა.

ტყვილად ფრანჩესკო ცდილობდა თავის განთავისუფლებასა, გალესილი ხანჯალი, მოხვდებოდა კისერში, რომელსაც გაუჭრიდა ყელსა და დაესობოდა ღრმათ გულზედა, რომლისა გამო გარყვნილი ფრანჩესკო იქვე დავარდებოდა ცივათ ჰოლზედა და იმ წამშიდვე დალევდა თავის უწმინდურს სულსა.

ბეატრიჩე ძილში ამოიქვნეშიდა და სიზმარი მისი ახდებოდა ცხადათ. აახილებს ზევითა რა თვალებსა, დაინახამდა წინადამ თავის საყვარელ გვიდოსა, რომელიც სისხლიან ხანჯლითა ხელში შებედამს ბეატრიჩესა გულ მოსრული, ბეატრიჩე განკვირდება და ართოლდება.

სიცილი, რომლითაც გამოიღვიძებდა ბეატრიჩე, უცფათ განქრებოდა და შეხედამდა რა მკჳდარსა დავარდნი-

ლსა თავისის კრავატის წინეთა ათრთოლდებოდა და ფიქრობდა: «ვინ არის ეს მკუბდარი და ან რა უნდოდა აქეთ.—

და განცვიფრებულ გაიკვირვებითა ხან შეხედამდა მკუბდარსა და ხან გვიდოსა, რომლისთვინაც, სურდა დაეწყო ბეატრიჩესა ლაპარაკი მაგრამ შიში რომელიც დაეცემოდა ბეატრიჩესა იმ ხანად, არ ამლევდა მას ნებას თქმად ერთისა სიტყვისა.—და შეხედავდა რა მეორეთ გვიდოსა, გვიდო არსად იყო, რამეთუ გვიდო ფიცხლათ განქრებოდა და ძრწებოდა მარტო ბეატრიჩე მკუბდართანა.—

საშინელი გამოუთქმელი შიში დაეცემოდა საწყალსა ბეატრიჩესა, წამოვარდებოდა რა თავის კრავოტითგანა, შიშველნი ფერხნი მისნი გაისვრებოდნენ სისხლში თავისის მამისა, გარდააბრუნვიდა რა თავისსა კელებით მკუბდარსა, იცნობდა თავისსა მამასა, ტუჩნი რომლისა კიდევ თრთოდნენ, და თვალნი მისნი იყვნენ გაშტერებულნი განურჩევლად, ბეატრიჩე დაიპნეოდა და გაშტერდებოდა უაზროთ, შეცქერებით მკუბდარ მამასა.

გვიდო უცფათ ჩაირბენდა კიბეზედ, შევარდებოდა დიდსა ზალაშია, სადაცა იყვნენ ლუკრეცია, ბერნადირნო, ალიმპი და მარციო, და დაიწყებდა ყვირილსა:

—მოკუბდა! მოკუბდა!

—თქუჱნ რისთჳს მოკალით ისა ჩუჱნზედ უწინ, რომელთაც გვსურდა გვეწვლებინა ისა, როგორც მაღლი, მიუთხრეს გვიდოსა ალიმპიმ და მარციომ.

მიუმატა მარციომ:—მოდი ერთი წავიდეთ და შევი-

ტყოთ თუ მართალია.

და თან წაიყვანდა ლუკრეციასა, რომელზედაც დეეცე-მოდა განუზომელი შიში და შევიდოდნენ რა ოთახში ბეატრიჩესა, ლუკრეცია დაუძახებდა ბეატრიჩესა, ბეატრიჩე იყო გაშტერებული, როგორც ქვა, და პასუხსა არ იმლე-ვოდა, რადგანაც შიშისა გამო ენა ჩავარდნილი ჰქონდა, მერმეთ შეატყობდნენ რა ბეატრიჩესა, რომ შიშისა გამო იყო დამუნჯებული, მოჰკიდებდნენ ჴელსა და წამოიყვა-ნდნენ ლუკრეციას ოთახში, სადაცა დაბანდნენ სისხლში განსვრილსა ფერხთა, წაუსვებდნენ ზჲირტსა, მაგრამ ბე-ატრიჩე მაინც არ მოვიდოდა თავის აზრზედა, მერმეთ არჩევდნენ სისხლისა ართმევასა ბეატრიჩესათჳს, მაგრამ ხრა ვინ არ იცოდა როგორ აერთმევინათ სისხლი და ამისათჳს ჩააწვენდნენ თბილათა ქვეშაგებში.—

ამ დროს მარციო და ალიმპი, შევიდოდნენ მარტოკა სადაც ეგდო მკუდარი ფრანჩესკო და ამოიღებდნენ სა-ტევარსა და შესთხრიდნენ მარცხენა თუალში მკუდარსა ტარამდის და ეტყოდნენ:

—ეხლა კი დავრწმუნდით შენს სიკუდილზედა!

—შეხედე მარციო! (ეტყოდა მას ალიმპი) იმ და-ლოცვილსა გვიდოს რამ სიფართე გაუჴრია ყელი ამ მხეცისათჳს, აქედამ სული კარეტითა გამოვა, და არა მარტოკა.—-ეხლა რა ყოთ ამ მაღლსა სთქვით?

—წავიღოთ ბაღში და ჩავფლათ თხრილშია.

—ეჰ! ხომ არ გარდარეულხარ მარციო! ამას მიწას როგორ ვაღირსებ.

და აქ ისინი დაიწყებდნენ რჩევასა ერთი ერთმანერთში მკუდარზედა, აწვალებდნენ რა კიდევ ბევრ ხანსა, მერმეთ გაიტანდნენ გარეთ, აისვრიდნენ მაღლა ხეზედა, სადაცა ხისა შტოები შაერჭობოდა ყოველსა სახსარშია ულმრთო ფრანჩესკოსა.

აღასრულებდნენ რა ამა საქმესა მარციო და ალიმპი იმ წამში გავიდოდნენ რიმიდგან და მიატოვებდნენ ფრანჩესკოს სახლში, ამასთანავეც გვიდო გაქრებოდა მათი სახლიდამ, მაგრამ ბეატრიჩესა გულიდგან მაინც არ მოიშორებდა.

მეორე დღეს შეიტყობდნენ რა ხალხნი გრაფის ფრანჩესკო ჩენჩის სიკუდილსა, მოგროვდებოდნენ და ნახამდნენ მას დარჩენილს ზედ შტოებსა და შტოებს შუა და განკვირდებოდნენ, ზოგი იმათგანნი ამბობდნენ: ვითომც ფრანჩესკო ეშმაკთან მივიდოდა ღამე ფარნითა ზევით და ფანარი გზაში გაუქრა და იქიდამ ჩამოვარდნილი ხეზედ დარჩა და ამისათჯს მოკუდა.

საღამოზედ ლუკრეციამ, ცოლმან მისმან ჩამოაღებინა და ჩვეულებისა-მებრ დაამარხვინა და აგრეთვე სულისა მისისათჳს წყალობა გასცა.—

## წითელი სახვეველი.

### თავი XIII.

წავიდოდნენ რა ფულებითა ალიმპი და მარციო ნიაპოლში, ალიმპის დაჰპატიჟებდნენ პოლიციის აგენტნი, რომელნიც დაუწყებდნენ მას კარტის თამაშსა და ასმევდნენ მას ღვინოსა, ალიმპი დათვრებოდა რა საიდუმლოსა განამხელდა, ასრე, რომ ვითომც გრაფის სიკუ̂დილი მისგან და მარციოსაგან მოხდა, შეიტყობდა რა ამასა მარციო, წაიყვანდა ალიმპის დამთვრალსა და გამოჰკითხავდა, რა ილაპარაკა მან იმ კაცებთან, ალიმპი გიმოტყუდებოდა რა თავისსა შეცთომილებასა, მარციო ამოიღებდა წითელ სახვევლითგან, რომელიც ეხვია მას, ხანჯალსა და მოკვლიდა ალიმპის, თითონ გაიქცეოდა წასვლად სხჳა ქჳეყანაშია, და ჩაჯდებოდა რა ნავში ამ დროს წითული სახვეველი გარდუვარდებოდა წყალშია, მენავეები გააჩერებდნენ ნავსა და დაუწყებდნენ მებნასა წითელ სახვეველსა, ამ დაუონებაში მარციომ მოიხედა რა უკანა, დაინახა რამოდენიმე პოლიციის სერჟანტნი, რომელთაც დაიჭირეს მარციო და წარადგინეს სუდში სადაცა პრედსედატელი ვიკარი წარუკითხამდა განჩინებასა:

—შენ გხდიან დამნაშავეთ, რომ შენ და შენს ამხანა-

გსა ალიმპის მოგიკლამს, გრაფი ფრანჩესკო თავისი შვილების შეხვეწნით, განსაკუთრებით ბეატრიჩისა, და შენ მოგიპარამს ორი ათასი მანეთი, რომელიც გაგიყვია შუაზედა და ნახევარი მიგიცია ალიმპისათვს, კიდევ მოგიპარამს შენი აღისთვს წითელი სახვეველი, მერმეთ მოგიკლამს შენ შენი ამხანაგი ალიმპი, და ამისათვს აღვიარე ეხლავე ფიცითა ამათში დამნაშავე ხარ თუ არა?

მარციო ფიცსა უარს ჰყოფდა და ამისათვს რა გამოტყდებოდა რამეთუ ბეატრიჩე ტყვილათ იყო მოგონილი, რომ ვითომცა მისი შეხვეწნით, მამა მისი მოეკლას მას და ამისათვს პრეზიდენტი ვიკარი უბრძანებდა პალაჩსა მიცემად მარციოსი სასჯელსა, ეგების მაშინ გამტყდარიყო და ამისათვს პალაჩი გაუკრავდა ბაწრითა ზურგზედ ჴელებსა და ასწევდნენ ზევით ნელ ნელათა და მერმეთ უცფათ ჩამოუშვებდნენ, და საწყალსა მარციოს ნამეტნავი ცდისა გამო თავი დაეჴნევოდა და წარმოსთქვამდა ვითომც განჩინება მართალი შედგენილი იყო და ამისათვს პრეზიდენტი განჩინებაზედ საწყალ მარციოსა ჴელს მოაწერინებდა და მერმეთ უბრძანებდა სტოროჟებსა:

—წაიყვანეთ ეს კაცი და კარგათ მოუარეთ, რათა საჭირო იქნება შემდგომად.

## საპყრობილე.

### თავი XIX

ბეატრიჩეს უყვარდა შემოდგომის მზე, რომელიც თავისი სხივითა ახალისებდა დამჭკნართა ფოთოლთა და ამისათჳს ერთხელ როდესაც მზე ფიცხლათ ანათებდა, სეირნობა დაიწყო თავისი რძლით დჟაკომოს ცოლითა ლუიზათი, რომელნიც გარდმოესახლნენ, ფრანჩესკოს სიკჳდილის შემდეგ მისსა სასახლეში. დაიწყებდნენ რა სეირნობასა ნახვიდნენ სამზღვარზედ რიმისა ერთსა შენობასა, რომელიც იყო საპყრობილე ტყვეებისა, რომელსაც ერქვა სახელად ჴკორტე საველა.—შეხედამდა რა ბეატრიჩე იმა საპყრობილესა, ეტყოდა თავისსა რძალსა:

—რა საძაგელი შენობა რამ არის ეს სახლი, ეს საპყრობილე უნდა იყოს.

—სწორეთ ასრე იქმნება, მიუგებდა ლუიზა.

—ღმერთმან დამიფაროს ამაში ყოფნა.

მოშორდებოდნენ რა იმა საპყრობილესა რამოდენიმე ხნის შემდეგ მობრუნდებოდნენ სახლში, და იმა საღამოზედა არ ვინ მათნი ნათესავნი, ვითომც განგებ არ მოვიდოდნენ მათსა სასახლეში, რადგანაც უწინ ყოველ საღამოსა ჴეამდნენ მათ სტუმარნი და ამისათჳს დჟაკომოს სახლში ყველა მოწყენილი იყო, და ყოველთა სურდათ თავიანთ სპალნაში წასვლა მაგრამ ლუიზა შეაჩერებდა მათ და ეტყოდა.

—მოდით ერთი კარგი წიგნი წავიკითხოთ, ეგების იმაზედ გული გადავაყოლოთ.

—კარგი იქმნება, ერთის ხმით მიუთხრეს ბეატრიჩემა ● დეაკომომ.

● როდესაც ლუიზა არღილებდა წიგნსა საკითხავათ, იმ დროს შემოაღებდა კარსა ● შემოვიდოდა საყვარელი საქრმო გვიდო.

—მშვდობა თქვენი მოსვლა საყვარელო გვიდო! მიუთხრა დეაკომომ ● ჩამოართვა ხელი.

გვიდო ყოველთა შინაურებთა ჩენჩისას ისრე მიაჩნდათ როგორც ქმარი ბეატრიჩესი ● ამისათვს ყველას უყვარდა.

გვიდო მივარდა ბეატრიჩესთან, საკოცნელათ ხელთა მისთა მაგრამ ბეატრიჩე ხელის მიცემის მაგიერათ წაიყვანდა გვიდოსა მეორე ოთახში ● ეტყოდა:

—ვის ვართმევ მე ხელსა, მკვლელსა მამისას ჩემსასა, ● ამისათვს მეც მონაწილე ვარ კვლაში მამისა ჩემისა.

ეს სიტყვები ფრიად ეწყინებოდა გვიდოსა ბეატრიჩესაგან ● იმავე წამში წარვიდოდა თავის სახლში, მაგრამ ბეატრიჩე გულიდგან არ ამოუცილდებოდა.—წავიდოდა რა გვიდო, თავისი მთსამსახურე შეეყრებოდა მას ბალკონტედ ● ეტყოდა:

—თქვენო ბრწყინვალეებავ! კურიელი მოვიდა მის უსამღვდელოესის პაპის კარდინალისაგან ● თქვენი ნახვა უნდა ● ამასთანავე დეზებიც მოგართვათ.

ჰაა!!! მესმის რისთჳს მოვიდა კურიელი.

დარჩებოდნენ რა მარტოკა შინაურნი ჩენჩისა, ლუიზა ეტყოდა ბეატრიჩესა:

გული რისთჳს მოაყვანინე გვიდოსა, საქმე არ დაშალო შენის ხასიათითა, ბეატრიჩე:

დარჩებოდნენ რა მარტოკა ჩენჩნი, ყოველთა მოეწყინებოდათ და მოინდომებდნენ წასვლას თავ თავის საწოლში, მაგრამ ამ დროსა იმათ უცფათ შემოესმებოდათ ხმანი ფერხნისა და იარაღისა შრიალნი რამდენიმე კაცისა.—

ადგებოდა რა დჟაკომო შესატყობლად ანბისა, და გარდაადგამდა რა რამოდენიმე ლაჯსა კარისკენ, ამ დროს შემოვლეჯდნენ კარსა პოლიციის ყარაულნი, რიცხვითი რომელნიც იყვნენ მრავალნი, და ზოგნი მათგანნი გაჩერდებოდნენ კარებთან ამოღებულს ხმლებითა.

—თქუჱნ დატუსაღებულნი ხართ, გუბერნატორისა ბრძანებით, ამოიძახვიდა ერთი მათგანი, რომელიც იყო უფროსათ მითსა.

—რისთჳს? მიუგებდა დჟაკომო დაღონებულის სიტყჳთა და მშვიდობიანათა.

—თქუჱნ ამას შეიტყობთ თავის დროზე და ალაგზედ,—ეხლა-კი წამობრძანდით.

და პოლიციის ყარაულნი დაუწყებდნენ მათ ძებნასა, რათა რაიმე რკინაულება არა ჰქონოდათ საწყალთ ტუსაღებსა.

—მე არასფერი რკინეულება არა მაქჳს რა თქუჱნც

კარგათ იტით, ეტყოდა მათ დეაკომი.

და აგრეთვე გაუშინჯამდნენ ტანსაცმელთა ლუკრეციასა და ბერნადიროსა, რომელნიც შიშისა გამო მისცემდნენ ნებასა ყარაულთა განსინჯვათა თავიანთ ტანისამოსისა.— და ერთი მათგანი დაუწყებდა სინჯვასა ბეატრიჩეს ტანსაცმელსა და აგრეთვე გულშიაც ჩაუყოფდა ჴელსა ეშმაკობითა, ამისათჳს ბეატრიჩე გაუშლიდა ყბაში სილასა მსინჯველსა, ასრე რომ, მშინჯველი ჩამოიხევდა უკანა და ყოველნი პოლიციის ყარაულნი დაუწყებდნენ სიცილსა გალახულსა ამხანაგსა, და ერთის ხმითა ეტყოდნენ მას:

—არა გიშავს რა, ახალგაზდა ქალის ჴელი ნატკივნობის ნიშანს პირზედ არ დასტოვებს.

—ახ! თქუენ უნამუსო და გარყვნილნო ხალხნო! ეტყოდა მათ მჴდობიანათ ბეატრიჩე, თუმც მე წამოგყვები თქუენა გუბერნატორის ბრძანებითა, მაგრამ თქუენ მაინც არ შეგიძლიანთ შეხებად ჴელისა სხეულისა ჩემისასა,

ერთი პოლიციელი მივარდა გასაშინჯავათ ლუიზას, მაგრამ მისმა უფროსმა გააჩერა და უთხრა:

—მაგას დაეთხოვე, მაგაზედ ბრძანება არ არის გუბერნატორისაგანა. ამ დროს დეაკომის შჳლები, რომელთაც ეძინათ გამოიღვიძებდნენ ხრიალისა გამო და დაიწყებდნენ ტირილსა, საწყალი ლუიზა მიატოვებდა თავის ქმარსა, რომელიც იყო შეკრული და მიიწევოდა შჳლებისკენა, მაგრამ მეორე პოლიციისკი ამოიღებდა ჴმა-

ლსა ꝺ გააკავებდა ლუიზასა მისვლად თავის შვლებთანა.

—ლუიზა შეხედამდა მარჯვეთა ꝺ მაგრათა სახეში თჳსსა გამკავებელსა ꝺ ეტყოდა:

—ნეტავი თუ მართლა გაქჳს შენ ბრძანება, არა მიშვებად დედისა თჳს შვლებთან, რომელმან უღმრთო-მა ადამიანმა გიბრძანა შენ აღსრულებად ამისა: დაიკა-რგე აქედამ, ꝺ გამიშჳ მე ჩემ შვლებთანა საჭმელათ მისთა მუჭუისა დედისა მისთა.

ꝺ ამ სიტყვებითა გაიწევოდა, ლუიზა ჰკრამდა ჴელსა ამოღებულსა ჴმალსა, გასწევდა გვერდით გზისა გამკავე-ბელსა ꝺ შევიდოდა შვლებდან მეორე ოთახში.

როდესაც პოლიციის ყარაულნი აღასრულებდნენ თა-ვიანთ საქმესა, უბრძანებდნენ ტუსაღებსა მომზადებად წა-სასვლელად.

—სად გინდათ რომ წავიყვანოთ ჩჳენ? ეტყოდნენ ჩენჩნი ერთის ხმითა ყარაულთა.

—შეიტყობთ. მიუგებდნენ ყარაულნი.

საწყალი ლუიზა აღასრულებდა რა შვლების მოვლას, მობრუნდებოდა ქმართან, რომელიც იყო თითქმის მკჳდა-რი ꝺ დაუწყებდა ნუგეშის მიცემასა ქმარსა, ꝺ ბოლოს გა-რდაეხვეოდა რა ლუიზა ქმარსა საკოცნელათ მისთა, პოლიციელი ჰკრამდა მას ჴელსა ꝺ გააგდებდა იქითა ꝺ ეტყოდა:

—წადი აქედამ, ჩჳენ იმისათჳს არ მოვსულვართ აქა რომ ცრემლებს უყუროთ.

მერმეთ პოლიციის ყარაულები ჩაიყვანდნენ დაბლად

დატუსაღებულთა, ჩაჭერიდნენ მათ კარეტაში და დაადევ-ოდნენ დიდს გზაზედა.

გვიდო შეიტყობდა რა ბეატრიჩის დაჭერას, თუმცაღა თჳთონაც იყო შიშ ქვეშ პოლიციისა გამო, მაგრამ სურდა რათა მივარდნილიყო კარეტასთანა და გამოეყვანა მისგან თავისი ბეატრიჩე, მაგრამ მოსამსახურე დაიჭერდა გვიდოსა და ეტყოდა:

—თქუენო ბრწყინვალეებავ! თქუენ ბეატრიჩეს ველარ უშველით და თავს ტყუილა უბრალოდ დაიღუპამთ; უმჯობეს იქმნება რომ, თქუენ არ გამოცხადდებოდეთ პოლიციისა თვალში.

საწყალი გვიდო დარჩებოდა დაღონებული ჯავრითა და იგრძნობდა რა რომ თჳთონაც მალე დაიჭერდნენ, დაჯდებოდა და მისწერდა წიგნსა თავის საკუთარს დედასა, რომელშიაცა უმცხადებდა: «მიიღეთ ესე ბარათი თქუენის საკუთარის შჳლის გვიდოსაგან და ამასთანავე ბოლოს-დელი გამოსათხოვარი კოცნა ჩემგანა და გქონდესთ დედა იმედი, რომ თუ მეც პოლიციის ჴელში არ მოვხვდი, საწინაოთ კიდევ ორნივე ბედნიერნი ვიქნებით.»—და გაუგზავნიდა რა დედასა ამ ბარათსა, თითონ გარდაიცვამდა სხვა ნაირ ტანსაცმელსა და წავიდოდა მარტოკა სადაცა თვალნი ხედვიდნენ, ამ დროს გზაში გვიდოს შემოეყრებოდნენ პოლიციის ყარაულნი, რომელნიც ვერ იცნობდნენ გვიდოსა და პირ და პირ წავიდოდნენ მისსა სასახლეში დასაჭერათ გვიდოსა.—გვიდო იგრძნობდა რა თავისსა უბედურებასა უცფად გაიქცევოდა ქალაქის ნა-

პირსა და შევარდებოდა ერთს დუქანში, სადაც ჰპოვებდა მენახშირეთა და გაუამხანაგდებოდა მათ, ერთსა იმათგანს ეტყოდა თავის საიდუმლოსა: და გაუცვლიდა მენახშირესა თავის ტანისამოსსა, და გარდიცვამდა რა მენახშირის ტან-საცმელსა, თმასა და წვერს განიპარსავდა, პირს შეიღებამდა ნახშირითა, ასრე, რომ თჳთმკვიდრი დედაც ვერ იცნობდა იმაში გვიდოსა, მეორე დღეს გვიდო თავის ახალ ამხანაგებით გავიდოდა ქალაქიდამა.—

---

კარეტა საწყალთ ტუსალებისა ჩენჩებისა გაჩერდებოდა იმ საპყრობილესთან, რომელსაც იმ დღეს დილაზედ ნახვიდა ბეატრიჩე; როდესაც სეირნობდა ლუიზითა და შეხედავდა რა ბეატრიჩე იმა საპყრობილესა, გული წაუვიდოდა, ამოიქვნეშიდა და იტყოდა:

—უფალო! შემეწიე მე საწყალსა!

მერმეთ მოიხედვიდა რა ბეატრიჩე, შეხედამდა მმებსა და თავის დედის ნაცვალსა, რომელიც მიჰყვანდათ ყარაულებსა მეორე გვერდით საპყრობილისა.

დარჩებოდა რა მარტოკა საწყალი ბეატრიჩე ყარაულებთან, რომელნიც წაიყვანდნენ მას, და შეიყვანდნენ ბნელაში საპყრობილესა და მიატოვებდნენ ბეატრიჩესა ერთს ბნელს ოთახში, სადაც დაუკეტამდნენ რკინისა კარსა, ბეატრიჩე დარჩებოდა რა ბნელსა ოთახში მარტოკა მიაწვებოდა კედელსა და იქნებოდა განცვიფრებულსა შიშ ქვეშა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გააღებდნენ ბეატრიჩის ოთახის კარსა საპყრობილისა მოსამსახურენი, დ შემოუტანდნენ მას წყალსა დ ქვეშაგებსა, დ არ ეტყოდნენ ერთსა სიტყვასა ბეატრიჩეს, დაუკეტამდნენ კარსა საშინელის ხრიალითა, დ გამოვიდოდნენ გარეთა.

საწყალი ქალწული ბეატრიჩე მყოფი ბნელს ოთახში, მიაგნებდა რა თავის საწოლ ქვეშაგებსა, წამოწვებოდა მას ზედა, მოღალული, დ დაღონებული, რამეთუ არა გრძნობდა, თუ სად იყო დ რამ წერამან ის აქ მოიყვანა.—წამოწვებოდა, მაგრამ თვალნი მისნი იყვნენ გაშტერებულნი. მეორე ოთახში ვიღაცა ტუსაღი მომკუდარიყო, რომელსაც დიაკვანი ჟამნს უკითხვიდა.—შემოესმებოდა რა საწყალსა ბეატრიჩესა დიაკვნისა ხმანი, იგრძნობდა ტუსაღისა სიკუდილსა, დ გული მისი შევიწროვდებოდა გამოუთქმელის მწუხარებითა, კედლებზედ მისს ოთახში ეკიდნენ დიდრონი საათნი, რომელთაც მიჰქონდნენ საშინელი შრიალი დ რახუნი, რომელთა გამო ბეატრიჩეს, თვალნი არ მიედებოდნენ, ერთი სიტყვით ბეატრიჩესა მუდამ თავი სტკიოდა იმა განუშორებელ შრიალითა დ რახუნისა გამო.—გათენების დროს ბეატრიჩე ერთ მინუტს მიეცემოდა ტკბილს ძილსა, მაგრამ დილით გააღებდნენ კარსა მოსამსახურენი საშინელისა ანზითა დ მიუტანდნენ ბეატრიჩეს გამხმარს შავს პურსა დ აყროლებულს ცივს სუფსა, რომელთაც ბეატრიჩე არ შეეხებოდა.—წავიდოდნენ რა მოსამსახურენი რამოდენიმე დროისა შემდეგ, შემოვიდოდა ბეატრიჩისა

ოთახში დირეკტორი საპყრობილის ფარნით, რომელიც დაიწყებდა დახედვად საპყრობილის ოთახებისა და გამოვიდოდა რა ბეატრიჩის ოთახიდამა უბრძანებდა ხმა მაღლა მოსამსახურეთა გარდაყვანად ბეატრიჩესი მეორე ოთახში, რომელიც იყო უმჯობეს სინათლიანი და მორთული და აგრეთვე უბრძანა მოსამსახურეთა თეთრი პურის მირიმევა ბეატრიჩესთჳს მუდამ ჟამს, რამტელსაც ბეატრიჩე ისურვებს.—ბეატრიჩე გაიგონებდა რა ხმასა დირექტორისა დალოცამდა გულში, რადგანაც ტუსაღებს სიტყვებით არ შეეძლოთ მადლობის შეწირვა ვისმესთჳს.

ბეატრიჩე იყო გარდაყვანილი მეორე ოთახში ბრძანებითა დირეკტორისა, სადაც მნელათ შემოდიოდა მზის სხივები.

მეორე დღეს ბეატრიჩეს წაიყვანდნენ სუდში, მეორე ნახევარში საპყრობილისა, სადაცა იყო დიდი ზალა, მორთული შავის სკამებითა, რომელზედაცა ისხდნენ სუდიეები, შუაში იდგა დიდი სკამი, რომელზედაც იჯდა პრეზიდენტი, წინათა, რომელსაც ედგა შავი სტოლის ფრითა სტოლი, რომელზედაც იდვა რკინის გამოხატულება იესო ქრისტესი, რომელსაც გაახურებდნენ და მიუტანდნენ ტუჩთან ტუსაღებისა საკოცნელათ მასთა, და თუმც ტუსაღი ვინმე არ აკოცებდა გახურებულს რკინის გამოხატულებასა, ისინი მიეთვლებოდნენ ურწმუნოთა, და დამნაშავებათა.—მოშორებით სუდიებისა იყო რკინის რეშეტკა, სადაცა იდგა ჰალხჩი თავის მოწყობილებითა სასჯელებით მზათა, გამოსაცდელათ ტუსაღებისა.

შემოიყვანდნენ რა ბეატრიჩესა დაიარაღებულნი ყარაულნი მიიყვანდნენ მას სტოლთანა, სადაცა ისხდნენ სუდიები, და ყოველნი განკვირდებოდნენ გამოუთქმელის სილამაზითა მისითა და იფიქრებდნენ: «როგორ ამ-გვარ ლამაზისა და უმანკო ქალწულის გულში დაიბადა აზრი მამის კჳლისა!»—მარტო პრეზიდენტი მასკატი და პალაჩი ალექსანდრო იმ წამსვე ერთისა შეხედვით მისითა, შეატყობდნენ ბეატრიჩესა, როგორც მართალსა და უმანკოს სულსა:—

ნატარიუსი დაუწყებდა კანონისამებრ კითხვასა ბეატრიჩეს, თუ რა გვარი არის, და რამდენი წლისა არის.—ბეატრიჩე პასუხს უგებდა მშჳდობიანათ.

—წარმოსთქვით ფიცით, უბრძანა მას პრეზიდენტმა მასკატიმ. ნოტარიუსი აიღებდა იესოს ჯვარ-ცმულსა ჴელში და მიუტანდა ბეატრიჩესა და ეტყოდა:

—დაიფიცეთ?

ბეატრიჩე დაადებდა ჴელსა ჯუარ-ცმასა და იტყოდა როგორც მართალი სული:

—ვფიცავ წინაშე ამ ჯვარ-ცმისა იესო ქრისტესა, რომელიც ჩემის გულისათჳს ჯვარს ეცვა, რაც ვიცი მართლათ ვსთქუა და მართლა ვაღვიარო საქმენი ჩემნი.

—ამას მოელის თქუენგან სასამართლო.—მიუგეს სუდიებმა.

—ბეატრიჩე ჩენჩი! უბრძანებდა პრეზიდენტი მასკატი, თქუენ ხართ დამნაშავი მამის კჳლაში, რომელიც მოგიკლავთ თქუენ და თქუენის დედის ნაცვალსა და ძმებსა,

აღმორჩევით მკჳლელისა, რომელმანაც გაბედა მოკჳლა მამისა თქუჱნისა, რას იტყჳთ ამაზედ აღვიარეთ:

—ეს სულ ტყუვილი არს, მიუგო ბეატრიჩემ.

ესე სიტყვები სთქუა ბეატრიჩემ ისრე მშჳდობიანათ და ისრე უმანკოთ, რომ კაცი იმ წამსვე შეატყობდა მას, რომ ის დამნაშავე, არ იყო სრულებით ამა საქმეში, მაგრამ უღმრთომა სუდიამ ლუჩიანმა არ მიიღო პასუხი ბეატრიჩესი სახეში, და დაიბურდღულებდა:

—ტყუვილია? რასაკჳრველია!

(მასკატიმ დაიწყო:)

—თქუჱნა და ზემო ნათქვამნი პირნი, შეპირებულხართ თულებსა ალიმპის და მარციოს, რვა ათასსა მანეთსა, რომელთაც ნახევარი მიგიციათ წინეთა, და ნახევარი, როდესაც მოუკლამთ იმათა მამა თქუჱნი. ამაზედ რას იტყჳთ?

—ესეც სულ ტყუვილი არს· მიუგო ბეატრიჩემ.

—აი ახლავეთ შევიტყობთ, მართალი არის თუ ტყუვილი, ამაზედა,—ლუჩიანი.

—თქჱჱნ მარტო ამაშიაცა ხართ დამნაშავი, მიუთხრა პრეზიდენტმა მასკატიმ, რომ მამი-თქუჱნის წითელი სახვეველი მიგიციათ თქუჱნ მარციოსათჳს საჩუქრათ, მამა თქუჱნი რომ მოუკლამთ.

—ამ გვარი ცილი როგორ შეიძლება? მამა-ჩემმა თითონ თავის ჴელით აჩუქა თავის მოსამსახურეს მარციოს ის სახვეველი, როდესაც მარციო რიმიდგან პეტრალაში მიდიოდა.—

— თქჳჱნ კიდევა ხართ დამნაშავი ამაში, რომ თქჳჱნ გიბრძანებიათ აღსრულებად სიკჳდილისა მამისა თქჳჱნისა, ცხრა სეკდემბერსა, ათას ხუთას ოთხომცდა-თვრამეტსა წელსა, ალიმპი და მარციო იმ დღესვე შესულიყვნენ ოთახში ფრანჩესკოს მოსაკლავად მისთა და თქჳჱნ, ლუკრეცია, დჟაკომო და ბერნარდირო უცდიდით ამბავსა მეორე ოთახში და როგორც პირველად, ალიმპიმ და მარციომ ვერ გაბედეს შეხება ჴელისა გრაფზედა და მობრუნდნენ იქითგან, სათქმელათ ამისა, მაშინ თქჳჱნ მარტოკა გითქჳამსთ იმათთჳს: «რადგანაც მამასა ჩემსა ძილში ვერა ჰკლამთ, ფსიზლათ სული ვერ გაბედავთ მოკჳლასა მისსა».—და კიდევ თქჳჱნ მიგემატებინათ:— «მე თითონ წავალ და ჩემის საკუთარის ჴელით მოვკლამ მამასა, და თქჳჱნ თქჳჱნს საჩუქარს ვერ მიიღებთ»— და ამისათჳს, მაშინ ისინი ჴელ მეორეთ წასულიყვნენ და აღესრულებინათ თქჳჱნი წადილი.... რას იტყჳთ ამაზედ?

—უფალნო ჴელმწიფენო! მიუგო ქალწულმა ბეატრიჩემ. ამ გვარი საქმე და ამ გვარი გაბედულობანი მიეწერება მგლის ჯოგსა და არა მე, ამისათჳს მე თქჳჱნს ბრძანებასა და კითხვას ვხადი ცილის წამებასა და არა სიმართლეთა.

—თქჳჱნ კიდევ ამაში ხართ დამნაშავე, რომ თქჳჱნ გიბრძანებიათ მარციოსათჳს მოკჳლა ალიმპისა, რადგანაც გეშინოდათ, გამხელვად თქჳჱნის საიდუმლოისა ალიმპისაგან.—სთქვით ამაზედ რამე.

—შემიძლიან მე ვილაპარაკო?

—უნდა სთქვათ, ყოველი სიმართლენი თქვენი უნდა აჩვენოთ სუდსა, რათა სიმართლემან თქვენმან მოგეხმარისთ თქვენ.—

—მე რაღა უნდა ვსთქვა? მე მართლა უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ გვარი უღმრთოებით საქმისათჳს, არა ვყოფილვარ გაზდილი: მე გამზარდა ჩემმა დედამა, რომელიც მოგეხსენებათ გარდიცვალა წმინდათა, მერმეთ ჩემმა დედის-ნაცვალმა, რომელიც არს ღუთის მოყვარე ქალი; ჩემი ცხოვრება შეადგენს ერთს მორჩილს წიგნსა, რომელშიაც სწერია განმარტებით ცხოვრება ჩემი: აი ჩემი წიგნი აიღეთ, გაშალეთ დ მიხვდებით ჩემს ყოფაქცევასა, მე ამ გვარის საქმის დამნაშავე არა ვარ დ არც წლოვანება მაძლევს მე ნებასა აღსრულებად ამ გვარ უღრთოს საქმისა მოკულად მამის ჩემისა, მე ჯერეთ მეთხუთმეტე წელშია ვდგევარ, ერთი იფიქრეთ, რისთჳს უნდა მომეკლა მე მამა ჩემი? სიმდიდრისათჳს? რომელიც იმასა ჰქონდა? არ მე იმისი სიმდიდრე არა მინდოდა, მე ჩემის დედის დანატოვარი მზითევიც მეყოფნიდა; თუმცა მამამა ჩემმა მიმიყვანა მე იმ საქმემდის, რომ ჩემი დღენი ჩემის ენით უნდა მეწყევლა, მაგრამ მამა ჩემზედა ამ გვარი აზრები რომელსაცა თქვენ ბრძანებთ ჩემს გულში არ დაბადებულან. განა თუ არ მომეკლა მე მამა ჩემი ისრე ვერ უშველიდი ჩემს თავსა? მე წიგნი მივსწერე პაპასა, მიღებად თავისა ჩემისა, როგორც მიიღო მისმან კეთილ-გუნებამ ჩემი უფროსი

და ალიმპია და დასწერა ჯვარი გაბრიელზედ, და მეც ისე მოველოდი მის კეთილის გუნებისაგან, და ის წიგნი მარციოს გარდავეცი წასარდგენად პაპისათჳს.

—თქუენ დარწმუნებული ხართ? რომ თქუენი თხოვნა იყო წარდგენილი პაპასთან?

—მე არ ვიცი, მე მივანდე ესა მარციოს.

—რისთჳს მიანდევით მარციოს ამ გვარ დიდი საქმე?

—ამისათჳს, რომ მამასა ჩემსა ვყვანდი მე დამწყვთეული საპყრობილეში, და მარციოს მეტი ჩემთან არავინ არ შემოდიოდა და იმას გარდავეცი.

—მერმეთ, გაათავეთ თქუენი სიმართლე როგორ იყოს.

—ვსთქვათ, რომ მამამან ჩემმან მიმიყვანა მე იმ საქმემდისინ, თავის ყოფა ქცევითა, რომ მე ის მოვკალი, ერთი იფიქრეთ, რისთჳს მოვიხმარდი მე იმ თულებსა, თუ ასრე ყოფილიყო? რათ მინდოდა მე იმათი მოხმარება? განა რვა ათას მანეთად ვერ იშოვებოდა საწამლავი? რომლითაც თუ მინდოდა არ მოვკვლიდი მამასა ჩემსა? თუ ასრე მდომოდა? კიდევ საწყალ თორმეტის წლის ყმაწვილსა ბერნადიროს რა რჩევა შეუძლიან ჯერეთ მიცემა კაცისათჳს? კიდევ სად იყო მაშინ ჩემი უფროსი ძმა დჟაკომო ეს საქმე რომ მოხდა? ის მაშინ რიმში არ იყო? რომელსაც შეეძლიან დაამტკიცოს ესა?.. არა უფალნო სუდიებო თქუენ გამოცდილნი და ღირსნი კაცნი ბრძანდებით და არ უნდა დაიჯეროთ ამ გვარნი ცილის წამებანი, რომლითაც გლეჯამთ შუაში და-

ღონებულსა გულსა ჩემსა, მე მეუღვა ტანჯვაი ჩემი, რაც მინახამს მე მამისაგან ჩემისა ᲓᲐ მაკმარეთ მე ესა.

მშვენიერება ბეატრიჩესი იმ ხანად, როდესაც რომ ლაპარაკობდა, იყო გამოუთქმელი, ყველა შეაჩერდებოდა პირში ბეატრიჩესა, რომელიც ლაპარაკობდა ნაზის სიტყვებითა, ᲓᲐ ყველა სუდიეები დაიჯერებდნენ მისსა სიმართლესა, ავი ლუჩიანიც იტყოდა ამასა:

—როგორ მალედ დაასწავლიან ეშმაკსა შკოლაში.

—მე თქვენ გარწმუნებთ ბეატრიჩე! რომ სთქვათ სიმართლე, ამისათვს, რომ თქვენებმან ᲓᲐ თქვენთა მონაწილეთა ყველამ გამოტყდა, როდესაც დაუწყეს ცდა მათ სასჯელითა.

—როგორის სასჯელისა, ᲓᲐ საცდელისა გამო შეიკრიფნეს მათ ცოდვანი თავიანთ სულისათვს? ახ! არა ცდა სასჯელისა არ დაარწმუნებს კაცის სიმართლესა.

—როგორ ცდა სასჯელისა არ ათქმევინებს კაცსა სიმართლეს? წამოიძახვიდა გახელებული ლუჩიანი. შენც თითონ შეიტყობ რამოდენიმე ხნის შემდეგ, გათქმევინებს ცდა სასჯელისა სიმართლეს თუ არა?

ბეატრიჩემ გაიქნია თავი ᲓᲐ დაიწყო:

—ჩემი დედის ნაცვალი ქალი არს ნაზის ტანისა ᲓᲐ აგრეთვე მოხუცებული, ᲓᲐ ამისათვს ეგების გაჩვენათ ტყუილი სიმართლე წვალებისა გამო; ბერნადირო ბავშვ არს ᲓᲐ იმას წვალებით ათქმევინებთ ყოვლის ფერსა, რაც გნებავთ, ᲓᲐ ჟაკომოს ცხოვრება ᲓᲐ სიცოცხლე დიდხანს შემცულებული აქვს ᲓᲐ იმას სიკუდილი ურჩევნია

მინამ სიცოცხლე.— აი ადამიანნი, რომელნიც დაგიცდიათ თქუჱნ სასჯელითა, თქუჱნ გგონიათ რომ მარტუეთ სიმართლე?

—მარტო ესენი არა ყოფილან თქუჱნი მონაწილენი სხვებიც გამოტყდნენ, მიუთხრა მასკატიმ.

—სხვა ვინ არის?

—მარციო.

—მაშ კარგი, მოვიდეს მარციო აქა და ჩემთან გამოტყდეს თუ მართლათ ბრმანებთ თქუჱნა, მე მინამდის არ დავიჯერებ, სანამ ჩემის ყურებით არ გავიგონებ მისსა სიტყვებსა.

—თქუჱნც გაიგებთ ამასა თუმც გნებავთ, და ამ დროს მარციოს შემოიყვანდნენ, მასკატისა ბრძანებით. ბეატრიჩე მოიხედავდა.

ჩამოსასხჲომ ალაგზედ იდგა მარციო, ესე იგი, მარციო არა უმჯობესი იქმნება, რომ ვსთქჳათ ლანდი მარციოსა, ამისათჳსა რომ მარციოს ტანზედ იყო მარტო ძვალი და ტყავი, ერთის სიტყუჳთა მარციო ემსგავსებოდა მკუდარსა, ოღონდ თვალნი მისნი კიდევ აჩვენებდნენ მასში ნიშანსა სიცოცხლისასა.—მარციო შესედავდა რა ბეატრიჩესა, უნდოდა რომ მივარდნილიყო და დავარდნოდა ბეატრიჩესა წინაშე ფერხთა მისსა. და ამისათჳს გაიწევოდა რა მარციო ბეატრიჩესკენა უღონოდ წაიქცევოდა, ამ დროს ბეატრიჩე გაუწოდებდა კელსა და აიყვანდა მარციოს.—

—ოო! ჩემო ქალბატონო! ქალწულო ბეატრიჩე!

თქუმენ კიდევ გეცოდინებათ საწყალი თქუმენი მარციო, ოო! ქალწულო ბეატრიჩე შემიცოდეთ მე, მე მლიერ უბედური ვყოფილვარ.

—მარციო! რისთჳს დამაბრალე მე ამ გვარი საქმე? რა გიყავი მე თქუმენა, რომ ასრე დამიმდაბლეთ სახელი ჩემი?

—ოხ! ეხლა კი ვხედავ, რომ ღმერთი მსჯის მე ჩემის უსაქციო ენისათჳს!

—მინავათო მარციო! უბრმანა მასკატიმ, ამტკიცებ შენ თუ არა იმასა, რაც გითქვამს შენ ბეატრიჩეზედა, რომელიც ეხლა თვალში გიყურებსთ.

—არა რაც წარმოვსთქვი მე უწინ სულ ტყუილი იყო ამისათჳს რომ, სასჯელითა და წვალებითა მათქმევინეს და მომაწერინეს ჴელი თჳთ არ ვიცი რაზედა, ბეატრიჩე აქ სულ დამნაშავი არ არის და არც მისი ჭირისუფალნი, აქ მე და ალიმპი ვართ მინავათი სხუა არავინ.

ამ დროს ლუჩიანი ჩუმათ ეტყოდა პრეზიდენტს მასკატის:

—უფალო პრეზიდენტო! სწორეთ კუდიანი უნდა იყოს ეს ქალი, თორემ როგორ უარს ჰყო მარციომ თჳსი ჩვენება, მასკატი არას ეტყოდა რა, მარტო მხრებს შეწურამდა ზევითა.

—მაშ მარციო! შენ უარს ჰყოფ განა შენ უწინდელ ჩვენებასა?

მარციომ დაიქნია თავი, რასაც ნიშნამდა რომ უარსა ჰყოფდა.

—ეგ ისევ სასჯელს უნდა მივსცეთ მეტი გზა არ არის. სთქუა სიხარულით ლუჩიანმა.

მასკატი ამოიღებდა ხელცახოცსა ꝺ მოიხოცვიდა შუბლზედა ოფლსა ꝺ ეტყოდა ნატარიუსსა:

—ურჩიეთ იმა საწყალსა მარციოსა, რომ უარს არ ჰყოს თჳსი პირვანდელი ჩვენება, თორემ მიეცემა საშო-ლაო სასჯელსა, ურჩიეთ.

ანბობდა რა ამასა კეთილი მასკატი ჰყრიდა ხანდის-ხან ცრემლებსა. ნოტარიუსი ურჩევდა მარციოს არ შე-ცვლად თავის ჩუჭნებისა, მაგრამ მარციო აზრშიაც აღარ მიიღებდა მათსა რჩევასა, ꝺ მზად იყო მისვლად კელ-მეორეთ სასჯელსა. ꝺ ამისათჳს ავი სულია ლუჩიანი უბრძანებდა ჰალაჩსა ალექსანდროსა:

—დაიწყე.

ჰალაჩი მიუგრამდა მხრებსა უკან ზურგზედა მარცი-ოსა, მოაბამდა ზედ ბაწარსა ꝺ იმა ბაწარსა გარდის-როდა ზევით ბორბალზედ ასაწევათ მარციოსა ꝺ ნელ-ნელათი ასწევდა ზევით მარციოსა.

—ეხლა უცფათ ჩამოუშვი, რომ კარგათ დაეცეს ლუ-რსმნებზედა, ამას ეტყოდა ჰალაჩსა ავი ლუჩიანი.

ჰალაჩი ასწევდა რა თავის თანა შემწეთი ზევით მა-რციოსა, უცფათ გაუშვებდა თოკსა კელსა ꝺ საწყალი მარციო დაეცემოდა ცხვირ პირით ლურსმნებზედ დაბლა.

საწყალი ბეატრიჩე შეხედამდა რა ამასა აიფარვიდა თუალებზედ კელსა ꝺ იტყოდა:

—ოხ! რა სამაგლობა არს!

—ბარაქალდი, ბარაქალდი, ჰალაჩო! აქებდა ჰალაჩსა ლუჩიანი, აბა ერთი კიდევ ასწიეთ ზევით ეგ მაღლი.

—ამას მეტი აწევა აღარ უნდა მკჳდარი არს, მიუგო ჰალაჩმა.

—როგორ! როგორ თუ გაბედა ჯერეთ მაგან სიკჳდილი, აბა მიადევით მაგას გახურებული მაშაში ფრჩხილ შუა ხორც შუა, თუ არ გაცოცხლდეს, და წამოარდებოდა თჳთონ ლუჩიანი აღსრულებად ამისა, მაგრამ მასკატი დაიჭერდა მას და ეტყოდა:

—მოითმინეთ, მოითმინეთ, თქჳენ სუდია ხართ თუ ჰალაჩი. ეგ სირცხვილი არ არის თქჳენთჳს.

მაგრამ ლუჩიანი არ დაიჯერებდა მასკატის სიტყვებსა და მივარდებოდა მარციოსთან და დაუწყებდა მას გინებას საძაგელის სიტყვებითა.

—ახ! შენ საძაგელო გამქქეცი ჩემის ჴელიდამ.

მერმეთ მობრუნდებოდა თავის ალაგზედ და ეტყოდა მასკატის:

—აბა უფალო პრეზიდენტო! სანამ ეს რკინა გახურებული იქმნება მოვიხმაროთ ამ პატიოსან ქალზედ, ვნახოთ თუ რა სიტყჳთ იგალობებს, როდესაც ასწევენ მაგას ზევითა.

—არა ეხლა დრო არ არის, დრო არს რომ გავათავოთ ზასედანიას. (და პრეზიდენტი ასდგება წასასვლელად.)

ბეატრიჩე დაღონდებოდა, წარბნი მისნი გალურჯდებოდნენ, თითონ გაყვითლდებოდა და ცოტა დააკლდებოდა,

რომ კინალამ გარდიქცევოდა, მერმეთ გაიმაგრებდა გულსა და მივიდოდა პირ და პირ მკუ̂დარ მარციოსთან.

—შენ უბედურო! ეუბნებოდა ბეატრიჩე მკუ̂დარ მარციოსა, რათ არ მიშველე მე შენა, მაგრამ მე გაპატივებ შენს შეცდომილებასა და ვლოცავ უფალსა, რომ ღმერთმაც გაპატივოს შენ შეცოდებანი შენი, თუმც შენ იყავ ცოდვილი, მაგრამ მოკვდი სიმართლით, მე შენი მდგომარეობა ეხლა მეხარბის, მეცა მსურს მალე მოვკუ̂დე ამ გვარ ცხოვრებასა სიკუ̂დილი სჯობია,—მიიღე ჩემგან უკანასკნელი ესე მსახურება წმინდა გულითა, რადგანაც მე მეტი არა მალ მიძს მოხმარებად შენდა. და იტყოდა რა ამა სიტყვებსა ბეატრიჩე განუსწორებდა გამოჭიმულსა თუ̂ალებსა საწყალ მარციოს.

—ეხლა წამიყვანეთ თქუ̂ენს საპყრობილესა, ეტყოდა ბეატრიჩე სტოროჟთა და წავიდოდა რა ბეატრიჩე ფერხნი მისნი იყვნენ დასუსტებულნი და სამჯერ კინაღამ წაიქცეოდა, ამ დროს მოახლოვდებოდა პალაჩი ალექსანდრო ბეატრიჩესთან და ეტყოდა:

—უფალო ბეატრიჩე! მე ვიცი, რომ თქუ̂ენ ვერ გაბედავთ შეხებად ჩემდა, და ღმერთმან ნუ ქმნას, რომ მე შევეხო როდისმე თქუ̂ენა. მაგრამ როგორც ვატყობ მრიელ დასუსტებული ბრძანდებით და თუმცა ნებას მომცემთ მოვიყვან ჩემსა ქალიშჳლსა,რათა მოვეხმაროს და ვემსახუროს თქუ̂ენა, თუმცაღა ჩემი შჳლი-კი არის მაგრამ ის მე არა მგავს.—

და ამ დროს დაუსტვინდა პალაჩი და რამოდენიმე ხნის

შემდეგ მოვიდოდა ლამაზი ახალგაზდა ქალიშვლი, რომელიც იყო ფერად ნაკლული, უბედური ისიცა გაჩენილიყო უბედურებისათვს.

—ვირჟილი, უბრძანა ჰალახმა თავის ქალიშვლსა, მიეცი ჴელი იმა ქალიშვლსა, ეგეც ამისთანა უბედური ყოფილა, როგორც შენა.

ერთისა შეხედვით, ბეატრიჩეს მოეწონა ვირჟინი, განსაკუთრებით მისთვას რომ სახელი მისი ერქჳა ბეატრიჩესა მკვიდრსა დედასა, დ ამისათვს ბეატრიჩე გაუცინებდა ვირჟინის დ მისცემდა ჴელსა დ წავიდოდნენ ოთახში საპყრობილისა.—ჰალახი ალექსანდრო ძრიელ კართგათ გაისარჯა, რომ საწყალი მარციო უცფათ მოკლა, თორემ იმას კიდევ ბევრს აწვალებდნენ.

---

ცდა სასჯელითა.

## თავი XX

როოდესაც რომ ზასედანიე გათავდებოდა, მასკატი გამოვიდოდა გარეთ, ეწოდა გული ბეატრიჩეზედ, რამეთუ ბეატრიჩე იყო მართალი დ ამისათვს წავიდოდა პაპასთან კლიმენტ XIII დ ეტყოდა იმას რომ ბეატრიჩეში ვერასფერი დანაშაულობა ნახა რა; პაპამაც იცოდა უმჯობეს მასკატისა, რომ ბეატრიჩე მართალი იყო, მაგრამ უნდოდა რომ სიმდიდრე ბეატრიჩესი დ ყველა ჩენჩებისა დარჩენოდა პაპასა საეკლესიოდ, დ ამისათვს

გამოსცვლიდა მასკატის, და პრეზიდენტათ დაადგინდა ავსა და უმღრთოსა ლუჩიანსა.—მასკატი წავიდოდა მონასტერში, სადაცა დაჰკლესდა თავის დღენსა.

როდესაც რომ მეორე დღეს კიდევ მოიყვანეს ბეატრიჩე სუდში და წამოაყენეს სუდიების წინაშე, უბრალოდ საწყალი ბეატრიჩე ეძებდა თავის თვალებით კეთილ გულიანსა მასკატის, რამეთუ მაგიერ მასკატისა იჯდა პრეზიდენტათ ლუჩიანი, თვალნი რომლისა ჰნათობდნენ სიავითა.

—დამნაშავო! ეტყოდა ლუჩიანი ბეატრიჩესა, თქჳენ გაიგეთ თუ არა გუშინა, რისთჳს ხართ დამნაშავე, გნებავთ თუ არა კელ მეორეთ წარგიკითხოთ განჩინება?

—არა საჭირო არ არის, მიუგო ბეატრიჩემ, თქჳენს განჩინებაში იმ გვარი აზრი და სიტყვები არის გამოყვანილი, რომ საკმაო არის ერთსელ მისი გაგონება, რომ კაცს არ დაავიწყდეს.

—განსაკუთრებით, როდესაც თქჳენადამო არის აღსრულებული ესე საქმე? მიუმატა ავმა ლუჩიანმა.—ესლა გამოტყდით უმჯობესი იქმნება, რადგანაც თქჳენმა მონაწილეთა აღიარეს სიმართლე, თორემ, თქჳენც დაკმაყოფილდებით სურვილისა მებრ ჩჳენისა, და გავიგებთ მალე თქჳენს სიმართლესა.

—მაშასადამე, თუმცა თქჳენ თითონაც გაიგებთ უჩემოთ ჩემს სიმართლეს, რაღა საჭირო იქმნება ჩემი თქმა, თუმცა რომ თქჳენის სურვილისა-მებრ დამაკმაყოფილებთ მე.

—ჩუჱნ ამისათჳს გარიგებთ თქუჱნა, რომ თავის-უფლათა აღვიაროთ შეცოდებანი თქუჱნი, რადგანაც ქრისტიანი ბრძანდებით, რომ თქუჱნი სული იყოს მიცემულ სიმართლესა და არა სასჯელსა.

—მე მიკჳრს უფალო პრეზიდენტო, რომ ასრე ერთგულათ ცდილობთ ჩემის სულისათჳს და თქუჱნს სულს არ ემებთ, უმჯობესი იქმნება თქუჱნთჳსა, რომ თქუჱნს სულს მოუაროთ და არა ჩემსა, ჩემის სულის პატრონი მე გახლავარ და არა თქუჱნ, და ამისათჳს მე თუ დამნაშავეთ მსჯით, აღასრულეთ თქუჱნი სურვილი და გარდასწყვიტეთ მალე ჩემი საქმე.

—დამნაშავო! ეტყოდა მას ლუჩიანი, თქუჱნი ამ გვარი სიტყვები, მრიელ საწყენი არის ჩემთჳსა და სუდიებისა და იცოდეთ რომ ამ გვარის სიტყვებითა უარესათ წაიხდენთ თავსა,—მე კიდევ გეუბნები თქუჱნა, გამოტყდებით თქუჱნს დანაშაულობაში თუ არა?

—მე თქუჱნ მოგახსენეთ სიმართლე, და გავათავე, და რაც ეკუთნის იმასა, რომ, თქუჱნ გსურსთ, ჩემგან ტყუილის-თქმა, მე ტყუილსა და ტყუილათ ჩემს თავს არა ოდეს არ გაჩვენებთ, რაც უნდა დამემართოს, ჩემი სიმართლე ვსთქჳ და საკმაოდ არს, უფლისა სახელზედ დაფიცებული გახლავარ და უფალს უნდა ჩავაბარო ჩემი სული სიმართლით.

—კარგი ამას ჩუჱნ შევიტყობთ! ნატარიუსო დასწერეთ: სახელითა მამისათა და ძისათა ამინ. ვბრძანებთ რათა მიეცეს დამნაშავი ბეატრიჩე ცდასა სასჯელისასა

ორმოც საათის განმავლობაში.—

დ ამ დროს დააჯდინდნენ ბეატრიჩესა გალესილ კუთხებიან სკამზედა, დ შეუკრამდნენ ფეხებსა, რომ ფეხნი მისნი არ დაჭკარებოდნენ ჲოლზედა, ჴელებს გაუკრამდნენ ზურგზედა დ უბრძანებდნენ ჰალაჩსა ასაწევათ ბეატრიჩესა ზევით დ ჩამოშვებათ უცფათა, რათა კუთხებიანსა სკამსა, რომელზედაცა იჯდა უმანკო ბეატრიჩე, დაენაღვლებიან, სხეული ქალწულის ბეატრიჩესი, თუმცა ჰალაჩი ალექსანდრო იყო დაღონებულად დ სტკიოდა გული ბეატრიჩეზედ, მაგრამ ბრძანების მორჩილი იყო დ აღასრულებდა ლუჩიანისა ბრძანებას:

მე არ შემლებულ ვიქნები გარდმოცემად თქუჱნთჳს იმა სამაგელ სიტყვებისა დ გინებისა, რომელთაც წვალების დროს ისმენდა ქალწული ბეატრიჩე ლუჩიანისაგან, რომელიც უყვიროდა ჰალაჩსა, კარგათ დ კარგათ ასწევად მისსა ზევით დ უცფათა ჩამოშვებასა დაბლად.— კალამსა ჩემსა არ ძალუძს აღწერათ იმა უბედურებისა დ ულმრთო წვალებისა ბეატრიჩესი, რომელიც ხშირხშირად გარდიქცევოდა დ მიუტანდნენ მას სასუნებელათა კაჰლებსა, რათა მობრუნებულიყო ბეატრიჩე ჴელ მეორე სასჯელისათჳს.—უმჯობესი იქმნება რათა კალამმა ჩემმა აღწეროს სიმარჯვე დ უშიშრობა ქალწულ ბეატრიჩესი, რომელსაც არ უნდოდა დაემდაბლა თავი თჳსი ტჳრილათა ჩჱნებითა სუდიებისათჳს.... გათავდებოდა რა ორმოცი საათი ჩამოხსნიდნენ მართალ ბეატრიჩესა სასჯელისაგან დ წარიყვანდნენ თავის საწოლ ოთახში

საპყრობილესა:

სამ დღეს უკან როდესაც ბეატრიჩე გამოსნეულდებოდა, მოვიდოდნენ მისსა ოთახში ლუჩიანისგან გამოგზავნილნი ყარაულნი, ჴელ მეორეთ წასაყვანათ მისთა წვალებისათჳს.—ბეატრიჩე სთხოვდა ყარაულთა მიცემად მისთა დროისა ჩაცმა დახურვისათჳს, რამეთუ ბეატრიჩე ამ დროს იწვა ქვეშაგებში.—ყარაულნი მისცემდნენ ნებასა, ბეატრიჩე ასდგებოდა. ჰალაჩის ქალი-შჳლი ვირჯინი მოეხმარებოდა ჩასაცვამად ტანისამოსისა დ̃ ჩაცმის დროს ბეატრიჩე ეტყოდა ვირჯინის:

—აი ყური დამიგდე საყვარელო დაო! მე მხმობილებენ ჴელ მეორეთ წვალებისათჳს, დ̃ მე ვიცი რომ ამ წვალებაში მე ცოცხალი აღარ გადავრჩები, დ̃ ამისათჳს მე მსურს დაგიტოვო შენ რაიმე სამახსოვრო; ჩემო საყვარელო ვირჯინი, რაც მე ნივთები დ̃ ძვირფასი კაბები მაქუს აქ ამ საპყრობილეში, დამიტოვებია შენთჳსა.—აჰა! მიიღე ჩემგან ეს ჯუარიცა, ეს ჯუარი იყო ჩემის განსვენებულ დედისა, ეს ჯუარი მიჩუქებია შენთჳს ამ პირობითა, რომ მე თუ ცოცხალი გადურჩი ამ ჴელ მეორე წვალებასა, რომლისათჳსაც მე ეხლა მივყევართ, გთხოვ რომ ეს ჯუარი ისევ მე დამიბრუნო, ამისათჳსა რომ მე მინდა ეს ჯუარი მიწაში ჩამყვეს.—ამას გარდა ჩემო ვირჯინი ეს ხატი რომელიც ჰკიდია ჩემს საწოლ კრავოტზედ, გაუგზავნე იმასა.........ჩემს საყვარელსა, რომელიც მე მიყუარდა სულითა დ̃ გულითა ამ ქუეყანაზედ. დ̃ ან შენის ჴელით მიუტანე კარდინა-

ლსა მოფობარბენიოსა ეს ხატი და უთხარი, ·რომ საწყალი ბეატრიჩე უგზავნის ამ ხატსა თქო თავის საყვარელ გვიდოსა თქო და ამასთანავეც უთხრას გვიდოსა, რომ ამ ხატის წინაშე შენს საწყალს ბეატრიჩეს თქო ბევრჯელ მილოცამს თავის საყვარელ გვიდოსათჳს თქო.-

—რას შვრებით ამტლ ხანს, ქორწილში ემზადებით თუ როგორ არის თქუენი საქმე, ერთი საათი არს რომ გიცდით. ეტყოდნენ ყარაულნი საწყალ ბეატრიჩესა.

ბეატრიჩე წაჰყვებოდა ყარაულებსა, საწყალი ვირჯინი დაუკოცნიდა ჴელებსა ცრემლითა ბეატრიჩესა და შემდეგ მობრუნდებოდა ბეატრიჩის ოთახში, სადაცა ბეატრიჩე შეხედავდა ვირჯინის, რომელიც ჩამოკიდებდა ხატზედა ბეატრიჩისა მიერ ნაჩუქარ ბრილიანტისა ჯუარსა და დავარდებოდა მუხლ მოდრეკითა ლოცვად ბეატრიჩესათჳს.

როდესაც ბეატრიჩე წარმოსდგებოდა სუდიებისა წინეთ, გათავებული და დასუსტებული, ამ დროს ლუჩიანი ეტყოდა მას პირ მოცინებით და ფარისევლობით:

—კეთილ გონიერო ქალიშჳლო, ბეატრიჩე! ის ღმერთმან უწყოდეს თუ რა რიგათა მსტკივა გული თქუენზედა. ვწუხვარ თქუენის წვალებისათჳს, მეც თქუენი ხნის ქალიშჳლები მყავს. თუმცა თქვენსავით მშუენიერნი არ არიან— და ამისათჳს, როგორც ჩემთა ქალიშჳლებთა ზედა შემსტკივა გული ისრე თქუენზედა, და ამისათჳს გთხოვთ უმორჩილესად გამოტყდი და ნუ გამომიყვანთ მე მოთმინებისაგან, რათა უარესად არ გაწვალონ თქუენ.

—რისთჳს მაცდენთ მე უფალო პრეზიდენტო? მშჳდობიანათ მიუთხრა ქალწულმან ბეატრიჩემან, განა სამეოფი არ არის თქუჱნთჳს ჩემს სხეულს რომ აწვალებთ როგორც გნებავთ? და რათ გსურთ კიდევ ჩემი სულის დადაბლება; — სხეული ჩემი ეკუთვნის თქუჱნა და როგორც გნებავთ ისრე აწვალეთ ისა რადგანაც გამოუთქმელმა ძალამ ჩააგდო ისა თქუჱნს ხელში. და სული ჩემი საკუთარ ჩემი არის და მე მეკუთვნის ისა, რადგანაც მომცა მე გამჩენმან, რომელსაც უნდა დაუბრუნო სიმართლით და უვნებელათ, და ამისათჳს რაც რომ წვალება უნდა გამოიგონოთ ჩემთჳსა, მე არ ძალ მიმს გაცემად სულისა ჩემისა და არა უარს ვყოფ ტყუილათ ჩემდამო ნათქუამთა სიტყვებთა.

ლუჩიანსა ამა სიტყვებითა გული მოუვიდოდა და დაუყვირებდა პალაჩსა ალექსანდროს:

—სად არის ალექსანდრო, როდესაც მე აქა ვარ ის აქ უნდა იყოს მოუცილებლად.

—ის ბანკონაში წავიდა თავის საქმეზედ და ერთი დღის უკან გიახლებათ. მოახსენა მისმა თანა-შემწემ.

—მაშ კარგი კარლინო, შენ მოემზადე საწვალებლად ამა ქალბატონისა და ეცადე, რომ კარგათ აწვალო.

—ვეცდები უფალო პრეზიდენტო! მიუგო პალაჩის პომოშნიკმა კარლინომ.

და ამ დროს ლუჩიანის ბრძანებითა ორმა ყარაულმა მოჰკიდეს ხელი საწყალსა ბეატრიჩესა და მშუჱნიერნი ოქროს ფერნი თმანი მისნი დაშალეს და იმითა ასწევ-

დნენ ზევითა, რომელსაც მოაბამდნენ თოკსა..... მაგრამ ჩუჱნ დავეთხოვოთ აღწერად განმარტებითა ამა უღმრთო სასჯელისა, რომლითაც ბეატრიჩე იტანჯებოდა.

ლუჩიანი გარდმოწვებოდა სტოლზედა ᲓᲐ დაუწყებდა ყვირილსა ბეატრიჩესა, რომ სულ აწვალებდნენ:

—გამოტყდით გირჩევყიათ!

—მე დამნაშივი არა ვარ........

—აბა ერთი კიდევ ასწიეთ თმითა მაგრათ თმითა! ჴო! აგრე, აგრე.

—მე თქუჱნ გეუბნებით გამოტყდით?

—მე.... დამნაშავი არა ვარ.......

—აა! კარგი კიდევ არ გინდათ გამოტყდეთ.

—აბა კარლინო! დაუგრიხე მარჯვენა ჴელი მაგრათა მაგ ქალბატონსა. კარლინო აღასრულებდა რა ბრძანებასა, გაადებინებდა მარჯვენა ჴელსა ბეატრიჩესა მაშინის შუაშია ᲓᲐ დაატრიალებდა მაშინას; მარჯვენა მკლავი ბეატრიჩესი, დაემზგავსებოდა იმასა, როდესაც მრეცხელი გასწურამს გარეცხილს ზეწარსა; ᲓᲐ მვალნი მისნი დაიწყებდნენ ხრიალსა, ᲓᲐ სისხლი გამოჩნდებოდა მარღვებში მისთა.

ლუჩიანს იოტის ოდენათ არ ეწვებოდა გული ᲓᲐ უყვიროდა საწყალ ბეატრიჩესა:

—გამოტყდით გირჩევნიათ თქუჱნს დამნაშაობაში?

—ოხ! ღმერთო!......ღმერთო.....ჩემო!.. წამოიძახვიდა საწყალი ბეატრიჩე.

—მე თქუჱნ გეუბნებით გამოტყდით?

—მამაო... ზეციერო... მოდი... მამხმარად მართლისა... სულისა, შენისა.....

—გარდაუტრიალეთ კიდევ მაგრათ ჯელი, ასწიეთ კიდევ ზევით თმითა კარგათ, კარგათ! ეე! მაგრე, მაგრე, დ ეხლა ჩამოუშვით უცფათ.

—ოო!... დედა-ჩემო!....დედა!...წყალი....წყალი.... მიშველეთ...ვკვდები.. ერთი წყალი....მასვით.

—ეხლა რა წულის დრო არს გამოტყუდით გირჩევნიათ?

—მე . . . . . . . . . . . . .

—ჩქარა გამოტყუდით!

—მე.... დამნაშავი.....არა.......ვარ.

ლუჩიანი გამწარდებოდა გულ მოსრულებით.

—დაუტრიალე კლავი მაგასა მრიელ, რომ მვლები დაემტვრეს, დ გამოწურეთ მაგის სხეულისგან სისხლი.

—ოო!....ღმერთო... ეს რა წვალება...არს. მე მონათლული... ვარ.. მე ქრისტიანი.....ვარ. ვკუდები.....კვდ....

—გამოტყუდით! გამოტ........

დ ამ დროს წამოახველებდა გულ მოსულობისა გამო ავსა ლუჩიანსა.

—მე დამნაშავი არა ვარ...

—მაშ წადით ეხლა მოიტანეთ მუა, ეხლა მუით გამოვცადოთ;—მუით გამოცდიდნენ ამ რიგათ: ტიტველ ხორცზედა შემოახვევდნენ მუასა დ ასწევდნენ ზევით ბაწრითა დ მუა გასჭრიდა სხეულსა ადამიანისასა, მაგრამ, როდესაც ბეატრიჩე უნდოდათ ეწვალებინათ მუითა ამ

დროს მოვიდოდა ალექსანდრო პალაჩი და ნახვიდა, რომ ბეატრიჩე იყო თითქმის მკჳდარი, და ამისათჳს ეტყოდა ლუჩიანნსა:

—უფალო! პრეზიდენტო თქჳენ გნებავთ რომ მოკლათ ეს საწყალი, თუ გამოტეხოთ?

—როგორ! მოკჳდა თუ?

—აჭას მეტი ცდა არ უნდა, ეხლა მოასვენეთ უმჯობესი იქმნება.

—მაშ კარგი, გააჩერეთ სასჯელი: ეტყოდა ლუჩიანი პალაჩსა და მერმეთ მოუბრუნდებოდა სუდიებსა და ეტყოდა:

—თქჳენ საყჳარელნო ამხანაგნო! მოითმინეთ თავიან ალაგზედა და მე ეხლავე გიახლები.

ეტყოდა რა ამასა გავიდოდა.

და რამოდენიმე ხნის შემდეგ ლუჩიანი შემოიყვანდა ბეატრიჩესთან მის დედის ნაცვალსა ლუკრეციას, ჯაკომოს და ბერნადიროსა, რომელნიც იყვნენ ბორკილით, საწყალნი ჩენჩნი, თავიანთ საპყრობილესა, მყოფნი პირველჯერ შაიყრებოდნენ ერთათა და დაიწყებდნენ ერთმანეთის კოცნასა.—ლუჩიანი შევედრებოდა მათ, რათა ისინი მოხმარებოდნენ მასა, გამოტეხად ბეატრიჩესა. იფიქრა თუ: ევების პროისუფლებისა ხვეწნითა გამომტყდარიყო ბეატრიჩე. და ამისათჳს ლუჩიანი დაარიგებდა ბეატრიჩის მმებსა და დედის ნაცვალსა, ფარისევლობით რათა იმათ შეესმინათ რაიმე ბეატრიჩესათჳს; შეხედამდნენ რა საწყალნი ჩენჩნი ბეატრიჩესა, მდებარე პოლ-

ზედა, რომელსაც აღარა ჰქონდა ნიშანი სიცოცხლისა, დავარდებოდნენ ფერხთ მოდრეკითა წინაშე ბეატრიჩისა ჵ დაუწყებდნენ მას კოცნასა ტანსაცმელზედა, რათა ეშინოდათ დაკარებათ სხეულისა ბეატრიჩესი, რამეთუ არ მოუმატონ მას სიმწუხარე ტკენათ მისთჳს ტანისა, რომელიც იყო დაბეჟილი,—თითქმის მკჳდარს ბეატრიჩესა, ჩამოესმებოდა რა კვნესა თავისი ჭირისუფლებისა, გამოახილვიდა თვალთა ჵ აღმოსთქვამდა:

—მადლობა ღმერთსა, რომ ვკჳდები; ჵ დახუჭამდა ისვვეთ თჳალებსა, მაგრამ მრთელისა სხეულისა ტკივილი გააჯავრებდა მასა ჵ განახელდა ისევეთ თჳალებსა ჵ იტყოდა დაღონებულის სიტყველითა, შეხედავდა რა თავის ძმებსა ჵ დედის ნაცვალსა:

—ჩემნო მეგობარნო! რა სახით გიმზერ მე თქჳჱნა?

—ჩჳჱნო საყჳარელო ბეატრიჩე! რა რიგათ გიმზერთ საწყალნი შენნი სისხლნი, რომელნიც მოვიდნენ ხილვათ შენისა: ერთი გვითხარი სად დაიკარგა შენი ალის ფერი ლოყები, სად გაგვექცა შენი ფართე თჳალები, ეს რა არის ჩჳჱნს თავზედ. ერთის ხმითა მიუთხრობდნენ საწყალნი ჩენჩნი.

ადგებოდა რა ამ დროს საწყალი დეაკომო თავისი ბორკილით მივიდოდა სიახლოვეთ ბეატრიჩისა ჵ შეევედრებოდა:

—საყჳარელო დაო! ბეატრიჩე! შეისმინე უკანასკნელი თხოვნა, შენი უფროსი ძმისა ჵ სთქჳ ისრე, როგორც ჩჳჱნ ვაჩვენეთ. თუმცა დამნაშავი არა ვართ, მა-

გრამ რა გაეწყობა, მეტი გზა არ არის, სთქჳ, ნუღარ იწუხებ თავსა, სთქჳ ისრე როგორც სუდიეებსა ნებავთ.

საწყალი ბერნადირო გულზედ პატარა ჴელების დაკრეფნითა ევედრებოდა თავის დასა ბეატრიჩეს.

—ჩემო ბეატრიჩე, სთქჳ როგორცა ნებავთ ამ უფალთ სუდიეებთა, პრეზიდენტი შემპირდა მე, რომ თუ შენ გამოტყუდები, სახლში გაგვიშვებს და წავალთ ჩუჱნთჳს სახლში ეურმნის საკრეფათ, თუ გიყვარდე ბეატრიჩე სთქჳ, ნუღარ იწვალებ თავსა.

და ამ დროს დედის ნაცვალი კნეინა ლუკრეცია დაუწყებდა თხოვნასა გარდაქცეულ წვალებით ბეატრიჩესა:

—საყვარელო შჳლო! სთქჳ ჩუჱნ ყველა ცოდვილნი ვართ ვინ არის ქუჱყანაზედ უცოდველი, გთხოვ ბეატრიჩე შეისმინო სიტყუანი დედისა შენისა.

ბეატრიჩე მობრუნდებოდა და თუალნი მისნი მიიღებდნენ სახესა გულ მოსრულებისასა და წამოიხედვიდა რა უცფათა შეხედვიდა ლუჩიანსა, რომელიც ჰხაროდა სიავისა სიხარულითა ბეატრიჩე დაიწყებდა ნელისა სიტყვებითა:

—მე გავიგე ჩემდა უმლოერეს საწყენად, რომ თქუჱნ წვალებისა გამო, გიჩვენებიათ ტუჳილი ჩვენება, ვითომცა ჩუჱნ დამნაშავი ვიყოთ ამ საქმეში, რისთჳს აჩვენეთ ასრეთა? თქუჱნ გგონიათ, რომ ამისთჳს გაპატივებენ? არა ჩუჱნი სიკუდილი დიდ ხანს გარდაწყვეტილ არს პაპისაგან: თუმცა ჩუჱნ დამნაშავი არა ვართ, და თუმც მე არა ვარ გულს-ნაკლები თქუჱნზედა და თქუჱნ-

ის სუსტობისა, რადგანაც უღმრთო წვალებით გათქმევინესთ თქჳჱნ ტყვილი სიტყვები, ვითომც ჩჳჱნ დამნაშავი ვიყოთ ამ საქმეში და მით დაგიმდაბლეს სახელი თქჳჱნი, მაგრამ მე მაინც გევედრები თქჳჱნა არ შემაცდინოთ მე და არ გამარყვნევინოთ უმანკო სახელი ჩემი, და არ მომხადოთ ჩემის თავისაგან გვირგვინი წვალებისა, რომლითაც მაწვალებენ მე ჩემის სიმართლისათჳს, თუმც ბიწიერებამან, ყოველთა მიღალატეს მე და ჩამაგდეს განუზომელს სასჯელსა, მაგრამ მე მეხმარვიან ორნი ანგელოზნი: ერთი იმათგანი არის, ანგელოზი სიმართლისა და მოთმინებისა, რომელნიც მჭირდებიან მე განშორებას ამ ბიწიერ ქჳჱყნიდამა, სადაცა ვაქციე განუზომელი ცრემლი ჩემი მუდამ მწუხარებაში. და ამასთანავე მჭირდებიან მე აყვანად ზეცასა თავიანთ მხრებითა,—ახ! როგორ მეხმარებიან მე ისინი ამ მწუხარებაში, როგორ უჭერივარ მე თავიანთ ჴელებში, ახ! რა ტკბილი ყოფილა სიკჳდილი!

იტყოდა რა ამასა ბეატრიჩე ჴელ მეორეთ მიიქცეოდა უგრძნოთა მწუხარებისა გამო.

ამ დროს მზე გამობრწყინდებოდა ღრუბლიდამა და სხივნი მისნი დაეცემოდნენ გარდაქცეულ ბეატრიჩესა, რომელიც იყო უგონოთ დავარდნილი ჰოლზედა, და ოქროს ფერნი შოლტებივით ნაწნავნი თმანი მისნი ეყარნენ თოვლისა მებრ, თეთრ გულზედა მისსა; ბეატრიჩე იმ დროს ემსგავსებოდა წმიდასა სულსა მნათობსა თჳსის სხივებით.

მხედველნი მისნი, ყოველნი განკვირდებოდნენ ბეატრიჩისა შეხედვით; თჳთონ ლუჩიანიც გაშტერდებოდა, როგორც ქვის ბოძი. —ბეატრიჩე კიდევ მობრუნდებოდა დ ღრმის გულით ამოიქვნეშიდა, ჭირისუფალნი მისნი, რომელნიც ეხვივნენ თავსა მისსა კვნესით ამოიძახვიდნენ:

—ბეატრიჩე! წმინდა ანგელოზო! გვაჩვენე შენდამო აღმორჩეული გზა, რამეთუ ჩვენც წამოვიდეთ იმ გზაზედ.

ბეატრიჩე წამოიწევდა ცოტათი დ შეაგროვებდა რა თავის დანჯღრეულ ღონესა, იტყოდა.

—დაისწავლეთ სიკჳდილი.

—ჩჳენც მოვკჳდებით. დაიყვირებდა ამ დროს ბორკილით შეკრული დჲაკომო, ჩჳენ დამნაშავი არა ვართ, ჩჳენ არ მოგვიკლამს მამა ჩჳენნი, ტყვილათ წვალებით გამოგვათქმევინეს ესე უბრალო სიტყვები გამოუცდელობისა გამო.—

ბეატრიჩე გაიხარებდა ამ სიტყვებით დჲაკომოსი დ პირის სახე მისი გაპრწყინდებოდა, როგორც მზე, დ სამღრთო წერილისა სიტყვებით იტყოდა:

—მიწიერი წვალება გარდიცვლება მხიარულებით ზეცათასა, გამაგრდით დ მოკჳდით, როგორათაც მომკჳდარან პირველნი ქრისტეს მოყვარენი.

იტყოდა რა ამა სიტყვებსა ბეატრიჩე, ლუჩიანის გული გახელდებოდა სიავით დ უბრძანებდა ჯალაჩსა:

—აბა კიდევ ასწიეთ ეს გაუგონარი ქალბატონი. დ ასწევდნენ რა ბეატრიჩესა, მერმეთ უბრძანებდა ჯალაჩსა

მოტანვად გახურებულის მაეაშისა, რომელიც იყო გაკეთებული ფითილითა ꝺ თოფის წამლითა, ꝺ ჯალაჩი ლუჩიანის ბრძანებითა გამწვეტილსა წვერსა მაეაშისასა ჩაუყობდა ბეატრიჩეს ფრჩხილსა ꝺ ხორც შუა დიდსა ცერზედა ფეხებისასა ꝺ გაუჩენდა რა ცეცხლსა ფითილსა, ალი გაუჩნდებოდა ბეატრიჩესა მრთელ ფეხის თითებში.-- ახ! რა მძიმე სასჯელი ꝺ მძიმე მოთმინება იყო ამ უმღრთო წვალებისა გამო, მაგრამ ბეატრიჩე აჩვენებდა სიმაგრესა ꝺ მაგალითსა თავის ჭირისუფალთა, რომელნიც ეხვევიან თავსა ბეატრიჩესა, ბეატრიჩე გამწარდებოდა რა ამ უღმრთო წვალებისა გამო ჩაიკვნეტიდა ტუჩებსა, რისა გამო აემსებოდა პირი სისხლითა. შეხედავდნენ რა ამასა ჭირისუფალნი, დაეწვებოდათ გული ბეატრიჩეზედ ꝺ არღიღებდნენ რა დავარდნილსა დიდსა კეტსა ჯოლიდამ, მივარდებოდნენ ლუჩეანის მოსაკლავათ, მაგრამ უცფათ იქმნებოდნენ შეკრულნი, ლუჩიანი შეშინდებოდა ꝺ აგრეთვე ყოველნი სუდიეებიცა წამოვარდებოდნენ შიშითა ფერხზედა, ამ დროს ჯალაჩი ალექსანდრო გამოიღებდა გახურებულს მაეაშსა ფერსიდამ ბეატრიჩესა. ლუჩიანი შეშინდებოდა რა, უბრძანებდა წაუვანად ტყვეებისა თავიანთ საპყრობილესა,—საწყალსა ბეატრიჩესა წაიყვანდნენ რა თავის ოთახში მიაბარებდნენ ექიმსა, რომელიც განუმცხადებდა, რომ ბეატრიჩე მლიერ შეწუხებული არის ꝺ კელ მეორეთ ცდა არ შეიძლება მას ზედა ერთი კვირის განმავლობაში.—

(შემდეგი იქნება.)

# ოსების გერისთობა

ჩვენს სოფლებში ხშირათ იციან საყდრის დღეობა, და ყოველნიც ვსასწაულობთ ხოლმე საყდრის დღეობას. რაკი გერისთობამ დიდი ერი იცის, ორშან პირმან მოვისურვეთ წასვლა; გწყალობდეთ გერისა წმინდის გიორგის მადლი! ორივე წაველით, ცამეტი ვერსი გავიარეთ, მივახლოვდით ხსენებულს საყდარს იმ დროს, რომ ერთი არავინა სჩანდა ორი ღჳდლების მეტი, ჩამოვხტით, მღჳდლებს ჴელზედ ვენთხვიეთ, პატარას ხანს რომ დავისვენეთ? ხალხმა დაიწყო დენა. იმ ხალხმა ისეთ ნაირათ დააბნელა იმოდენა თჳალ გადაუწვდენელი მინდორი, რომ ათი კაცი აღარ მოთავსდებოდა. რა საყდარს მოახლოვდნენ, ვნახეთ ასი წილი ოსების ცოლები, ოსები, და იმათი ბავშვები აკვნებით ასე, რომ იმათი ფეხების მტვერით, ერთმანეთი ვეღარ დავინახეთ. ძლივს ერთმანეთი ვიპოვნეთ შუა წირვამდინ. უცხო დამნახველი რომ ვინმე ყოფილიყო, უთუოთ გაუკვირდებოდა იმტენი ხალხი; მასთან იმათი იარაღის შეკაზმულობა, და ტყავის გუდები ზურგზედ სავსეები.

საყდრის კარებთან ჩამოიხსნეს, მიაწყეს ერთს ალაგას და შეიკრიფნენ საყდარში; რომელიც არ დეეტივნენ კარებთან დადგნენ, სახრეებს იღლიიდგან არ იშორებდნენ; ასე რომ, საყდარშიაც თან შეჰქონდათ.

მღჳდელმა დაიწყო წირვა, მაგრამ იმათი ოსურის ლაპარაკისაგან და ჯილჯილისაგან არაფერი ისმოდა. როდესაც წირვა გამოვიდა? ბლაღოჩინმა დაიწყო ქადაგება; და ყველას ამცნობდა კეთილ აზრებსა: საყჳარელნო ძმანო და შჳლნო! ჩუჱნ მარად ვალი გვაქჳს ქრისტიანეთა, ვესვიდეთ ჩუჱნთჳს ტანჯულსა იესო ქრისტესა, ჩუჱნ ვეცადნეთ, რომ ქრისტიანობის წესი შევიმინოთ და აღვასრულოთ როგორც უფალი გვიბრძანებს. ჩუჱნ ვეცადნეთ როგორც კაცი მღჳთისა ალექსი იყო, მას დავემგზავსნეთ, არა თუ მეუღლის დატევებით, არამედ ღჳთის ვედრებით, კაცთ მოყჳარეობით, და მოთმინებით; და არა ავაზაკათა და მრუშათა.... ჩუჱნ ვეცადნეთ სასუფეველი აქვე დავიმკვიდროთ ჩუჱნ, კაცი არა ვკლათ, არამ თუ მახვილითა, არამედ არც ენითა. უმჯობესია შევიმინოთ კეთილი ნიჭი, და ვმონებდეთ ჩუჱნზედ ღირსს კაცსა; და მომეტებულად მ. იმპერატორების დიდებულებასა. ამასთანავე, ერთმანერთის სიყჳარული გვქონდეს, რომ ღმერთს ჩუჱნც შეუყჳარდეთ და დაგვიხსნას ყოველი ბოროტებისაგან. თუმცა ამაზედ უკეთესები მრავალი სხჳა უქადაგა იქ მდგომთ, მაგრამ იმათ გულში მგონია, არა დაინერგარა. გარდა ამისა ბლაღოჩინმა დაუმატა იმავე საყდრის სტა-

რასტაზედ: აი ღჳთისნიერი კაცი, აი ღჳთისა და ღჳთის მორჩილი, საყდრის ნაკლულევანების მზრუნველი და შე-მმატებელი. გაიგეთ ქრისტიანენო ძმანო და დანო! უკე-თუ კაცი ესე ბუჭუა კარგი არა ყოფილიყო, ჩჳჱნ კა-რგა ვერ დავინახამდით. უკეთუ ესე სტარასტა კარგი არა ყოფილიყო, მთავრობა კარგათ არ დაინახამდა და არც დიდებული გ ე მ წ ი ფ ე ბუჭუას ჯილდოს არ უ-ბოძებდა. ძმანო! აი ჯილდო, ეს ეკუთნის თქჳჱნგანსა სტარასტა ბუჭუას. (აიღო და ყელზედ ჩამოჰკიდა ბუჭუ-ასა). ეს ხსენებული კრება გამოველით კარში; ოვსთა დაიწყეს ლაპარაკი ერთი ერთში: სემამზემა, ბლაღოჩინი კარგი ილაპარაკა, მაგრამ ვერ გავიგე. (პერეოჩიკმა) ბლაღოჩინმა კარგი გვითხრა: რაც მოიტანეთ, ბუჭუას უნდა ასვათო?! (მესამემ). მაშ ბლაღოჩინი რაც უთხრა ჩჳჱნი ბუჭუა უფრო კარგი ყოფილა, წავიდეთ და, მი-უტანოთ ბუჭუასა რაცა გჳაქჳს, თორე წყალობას აღარ გვეტყჳს.

ამ თქმაზე აიღეს თავთავის გუდები, ამოიღეს თავი-ანთი საგძალი და მიგროვდნენ საყდრის გარეთ ბუჭუა-სთან. გუდებიდგან ამოიღეს ხაჭაპურები, ხაბაზგინები, ბურახი, ლუდი და ვოტკა. მივიდნენ სათითაოთ, მიარ-თვეს სანოვაგე და სასმელები და უთხრეს: ბუჭუა! შენი მადლი მოიღე ჩჳჱნ თავზედაო. ამ ყაყანში მე და ჩემი ამხანაგიც მიუახლოვდით; ხსენებულს ბუჭუას ერთი მა-ღალი სარი ეჭირა ჴელში, რომელიც სიმაღლე ექნებო-და ხუთი საჟენი, ამ სარის წვერზე ეკიდა პატარა ზა-

რი. ზარიდგან მოკიდებული ის სარი იყო ფერადი ნაჭრებით შეხამებული, წითლით, ყვითლით, ლურჯით და სხუა და სხუა ფერად ფაჭებით ბოლომდისინ; აგრეთვე იმ ზარის გარეშემო ჟღარუნები ასხმული.

ხსენებულს ბუჭუას, ჯერ პირველი სოფლის ოსები მოუყვიდნენ ჴელ სავსეები; ოტკით, ხაბიზგინებით, საჭაპურებით, ბურახით, და სახრეზე შემწვარი წვადით მიართვეს და უთხრეს: სენი მადლი და მოწყალება გვითხარი, რომ ჩუჱნც კარგი კაცები გამოვიდოდეთ. ამ პირველ კაცს ჩამოართვა ოტკა და მაზედ დაიწყო ლოცვა-კურთხევა: ისეთი ლოცვა-კურთხევა დაიწყო, რომელიც თავის ფლიდურს ენას შეშვენიდა; ღმერთმან აგაღორძინოთ, გაგამრავლოთ, საქონელი თქუჱნს სახლში არ გამოილიოს, საქონლით და აგრეთვე წვრილფეხითო, პურით და ოტკითო და ის სტაქანი უცებ გადაუსვა. მეორე სოფლელებიც იმისთანა სანოვაგეთი მოუყვიდოდნენ; იმათაც სტაქანი გამოართვა ოტკით სავსე, ისინიც ამ გვარათ დალოცა და ისიც გადაუსვა. რაღა თავი შეაწყინოთ, ოცი სოფლის ხალხი იყვნენ! ოცივე სოფლელები დალოცა და ოცი კარგი ჩაის სტაქანი გიახლათ. ეს ამბავი რო გათავდა? მივიდნენ თითო ოსები ბუჭუასთან და იმის სარს მეტანია გადაუხადეს; ორი საჟენის იქით დაიჩოქებდნენ ხოლმე, იმ სარამდინ ხოხვით მიდიოდნენ, მიწიდგან მინამ შესწვდებოდნენ მინამ ჰკოცნიდნენ. უ. სტარასტა ყელ მოღერებული იჭიმებოდა, მალი-მალ ყელის მენდალს ისწორებდა ხოლმე, და ჴელში რო სა-

რი ეჭირა, იმითი ამწყალობნებდა ღჳდლისავით. ვიზე-დაც წყალობის თჳალი იყო, იმას ძალიან გაუნძრევდა იმ სარსა და თავზედაც მიარახუნებდა ხოლმე; და ვიზე-დაც წყალობის თვალით არ იყო, იმას არცკი გაუწკა-რუნებდა. მე და ჩემ ამხანაგს სხჳა არა გაგვიკჳრდარა მხოლოდ იმ სარის მეტი. უფალნო მკითხველნო! რო-მელიც-კი მივიდოდა, დედამიწიდგან მოკიდებული, სა-დამდისინაც შესწვდებოდნენ, ჰკოცნიდნენ სარსა, ლოკა-ვდნენ, თავს ზედ აბრახუნებდნენ და იძახოდნენ ოსურათ: თაბუ ხუცაუან. (თარგმანი). მადლობ ღმერთსა. ამ თქმა-ზე სტარასტაც გულ მოდგინეთ უფრო გაუქღარუნებდა ხოლმე; და ვისზედაც კარგის თვალით არ იყო, იმას არც-კი გაუნძრევდა სარსა. როდესაც ყველამ მეტანიის რიგი გადიხადეს, მინდორზე დასხდნენ, სადილი გიახ-ლნენ, დაითვრნენ და ოსური სიმღერაც შემოსძახეს: ჰა სიფარირა. მე და ჩემი ამხანაგიც სადილათ დაგვპატიჟეს მაგრამ, არ ვეწვიეთ; ამისათჳს, რომ ჩვენ იმათი არ გვესმოდა და იმათ ჩჳნი ენა. თუმცა მათთან უკადრა-ვათ დავრჩით, მაგრამ იმათ სულგრძელობისაგან მოგვე-ტევებოდა. რა სადილი გაათავეს, უ. ბეჭუამ მიტანილი სასმელი და საჭმელი ორ ცხენს აჰკიდა, მესამეზე თჳთ შეჯდა და შინისაკენ გაემზადა; ჩჳნც მღჳდლებს გამო-ვეთხოვეთ და გიახელით.

უფალო მკითხველო! ბლაღოჩინის ქადაგებისათჳს აი როგორ უგდიათ ყური და დაუნერგამთ გულში: ექ-ჳსი დღის შემდეგ მე და ჩემი ამხანაგი სუდში შეველით

საყურებლათ; უ. სუდიამ დაიწყო სახელებისა და გვარის ამოკითხვა. რასაკვირველია მოჩივარნი წადგნენ წინ, ამ მოჩივრებს უნდა მოგახსენოთ, რომ სწორეთ ზედ მიწევნილათ და კანონისამებრ ყველას კარგათ გადუჭრა სამართალი, და არა მიდგომით. ჩვენს იქ ყოფნაში თერთმეტს მისცა სამართალი; მეთორმეტეთ ამოიკითხა ორს ოსზე: ერთი მაჩივარი ისევ იმათგანი. ეს ოსები წინ რო წადგნენ, ვიცანით, რომ ის ოსები იყვნენ, რომელნიც ზემო აღწერით მოგახსენე. რასაკვირველია რა-კი ჩემმა ამხანაგმაც ისურვა?! ყური დაუგდეთ, ან რას იჩივლებდა ის ოსი, ან რა პასუხს მისცემდნენ ის ორნი! თუმცა იმათთან ლაპარაკი დიდათ სასიამოვნო არ არის, მაგრამ, ქართული რო არ იციან, რომ ლაპარაკს დაიწყებენ, იმაზედ-კი ბევრს იცინებს კაცი.

სუდიამ მოჩივარს: შენ რას უჩივი ამათაო?

მაჩივარი ოსი მოჰყვა თავის საჩივარსა: მე სენი ჭირიმე, გერისა წმინდა გიორგში იყავი, რაცა მქონდა იქ წაიღე ხაჭაპურები, ბურახი, არაყი, და ლუდი და ღინო. ეს კაცი მოსულა, ხაჭაპურები, არაყი და ღინო მოგიპარია, იქ ბევრი გემებე ესა, მაგრამ, ვერა ნახე სენი წირიმე?! რო ვერ იპონე, ჯავრი მოვიდა ყელში, დაწექი და დამემინა?!

სუდია მოჩივარს. რომ დაგემინა იმაზე ჩივი!! თუ ხაჭაპურზე და ღვინოზე?

მოჩივარი სუდიას: არა სენი წირიმე, როცა დაგემინა მე, კიდევ მოსულა და ჯიბეში ფულიც მოუპარა-

ეს ჩემი, სულ პორტმანით წაული?!? ახლა იმას გესვეწები, სენი სამართალი გააკეთო?!

სუდია მოჩივარს: შენ რითი იცი, რომ ნამდვილათ შენი სასმელ საჭმელი, და პორტმანით ფული მაგან მოგპარა. მოწამე ვინა გყავს.

მოჩივარი სუდიას: აი სენი წირიმე, ესა მაქს მოწამე, ამან გითხრა, თორე მე არ იცოდი.

სუდიამ ქურდს პირ ღიმილით უთხრა: მე შენ როგორცა გხედავ, შენ მაგისაგან არაფერს მოიპარამდი; უთუოთ იპოვნიდი, და ეგ-კი ქურდობას გაბრალებს. არა? განა შენ ისეთი ხარ, რომ რამ მოიპარო, უეჭველია იპოვნიდი.

რა ქურდმა სუდიასაგან ეს სიტყუა გაიგო, როგორღაც გულში ესანდალა, და დაიწყო თავის მართლობა; მაგრამ უფრო ვერა!

ქურდმა სუდიას: წორეთ ეგრე იყო, კი არ მოიპარე, იპონე!

უ. სუდიამ ქურდს: სწორეთ ეგრე იქნებოდა, იპოვნიდი, თორემ შენგან მოპარვა როგორ შეიძლება.

ქურდი უფრო გათამამდა და დაიწყო ხმა მაღლა ლაპარაკი: ჰო სენი წირიმე, მართალი ხარ; როგორ შემიძლია იმტენი ხალხში მოგიპარო!?

სუდია ქურდს: თუ იმტენ ხალხში არაფერი მოგეპარა ეს კაცი არ გიჩივლებდა.

ქურდი სუდიას: არა, არ მოგიპარია; გაიარე ქარჯინა იპონე!? გაიარე ხაჭაპური იპონე!? გაიარე ბურახი იპო-

ნე!? გაიარე ლუდი და ღვინო იშოვნე!? გაიარე პორტმონი იშოვნე!? ერთიც გაიარე და,—ბუზუკა იშოვნე!? და ეს როგორია სემა მზემა.

სუდია დამკარგავს: კაცო, რომ არ მოუპარავს შენ რათ უჩივი; უვლია და უპოვნია ყოველ ფეხის გადადგმაზე. აბა რას იტყჳ?

დამკარგავი სუდიას: თუ მართლა გაიგებ სულ ჩემი იყო?! და მაგან მოიპარა?! და თუ არ მოგიპარამს, აბა მოწამეს კითხე თუ ორივე ვაჩილას თავი დაიფიცამენ? მაშინ ტყუანი მე იქნები, და ტრაფიც გადვიხდი სემა მზემა.

სუდია ქურდს: გაიგე რა სთქუა?! თუ არ მოგიპარამთ მაშ დაიფიცეთ და თუ არ დაიფიცებთ გამტყუნდები.

ქურდი სუდიას: არც მოიპარე და არც ასი თუმნათ დაიფიცებ სენმა მზემა, მერე ვაჩილაი; ოოო! არა არა:

სუდიამ ხერხიანის ენით ქურდი მიიზიდა, და ყოველივე მშურათ გამოათქმევინა. ქურდმაც წამოიწყო რაცკი იცოდა: ჩუჩნ რო გერში წავედით საგმალი არა გვქონდა, იქ აიღე, იქავე დაჯექი და ქეიფი გაწიე!? ხაჭაპურები და ხაბიზგინები შეჭამეთ. ბურახი, არაყი და ღვინო დალიეთ. როცა დაითვერით ბუზუკა დაუკარი და ითამაშეთ. პორტმანში ფული რო იყო იმისი არაფერი მივეცი და იმიტომ მოვიდა მოწამეთა.

სუდია ქურდს: მაშ როგორც ანბობ, თითო ფეხის გადადგმაზე თითო რამ გიპოვნია!? მაშ კარგი ყოფილა; თუ-კი ეგრეა, მეც ვივლი და ყოველს ნაბიჯის გადად-

გმაზე ღვინოსაც ვიპოვნი და ფულიან პორტმანსაცა.

ქურდი სუდიას: ეგეც იღბალზე ჰკიდია?!

სუდია ქურდსა: მაშ როგორც მიმტკიცებ, იღბალი არა მქონია და არც მექნება; და შენ-კი იღბალი გქონია ქურდობაში, და შენ დაისაჯები კანონით.

უ. სუდიას ლაპარაკზე, საბრალო ოსი გაუვითლდა და გალურჯდა; კარგა ხანი ხმა ველარ ამოიღო. ათრთოლდა და კანკალი მოაყოლა. უ. სუდია აქტის წერას მოჰყვა; ვინც იქ მაყურებელნი ვიყავით, ველარ შევიკავეთ სიცილი, დავიწყეთ ფრუტუნი და კარში გავცვივდით.

უფალო მკითხველო, ესე-კი გახლდა ბლაღოჩინის ქადაგება და ოსის გულში დანერგვა, კარგს მთქმელს კარგი გამგონე უნდა; უკეთუ კაცს არ ესმის და უქადაგებენ, ყოველი ამ ოსისავით გაიგონებს.

კონსტანტინე ბერმენოვი.

უფალო ცისკრის რედაქტორო!

მაისის ჟურნალში, პირველ ბეატრიჩისა სტატიაში მეორე გვერდზე (209 გვერდი) არი შეცთომილება ბეჭვდისა დროს, ასე რომ თითქმის ერთი გვერდი ჩემის მოთხრობისა გამოტოვებულ არს, რომლისა გამო უფალთ მკითხველთა არ ძალ-უძსთ გაგებად ნამდვილისა აზრისა იმა სტატიისა, ამისათჳს უმორჩილესად ქთხოვთ ზემო აღნიშნულ გვერდზედ, სადაცა გათავდებიან სიტყჳანი: «ბოროტსა კაცსა» და დაიწყებიან: «თუმცა ბოროტებანი და სხჳანი» მათსა შუა გამოტოვებულნი შემდეგნი სიტყჳანი დაბეჭდოთ შემდგომს ჟურნალში, რათა უფალთა მკითხველთა ვრცელათ გაიგონ, თუ რისა გამო წაკითხული მათდამო სტატია გამოდიოდა აზრნაკლულათ.

გრიგოლ ასათიანი.

---

ტანსაცმელნი მას ზედა იყვნენ ძვირფასნი, მაგრამ ის ძვირფასნი ტანსაცმელნი ვერას დაამშვენებდნენ რა მისსა უშნოსა გამოხატულებასა.—მეორე მათგანი იყო ფერად ნაკლული, სასიამოვნო ტანისა, დაფიქრებოლი გამოუთქმელის ჯავრისა გამო, რადგანაც ხშირათ ჭნემი-

და, ტანსაცმელი მას ზედა იყო უბრალო ꝺ ამჟღავნებდა მისსა სრბოლასა. ერთისა მასზედ შეხედვით ეტყობოდა რომ ის კაცი იყო დაღრემილი სიყუარულობისა გამო.

აქ ამ სასტუმროში იყო კიდევ ერთი მოხუცებული მღუდელი, რომელიც დამღვრევდა მშჳდობიანობასა სასასტუმროში ꝺ დაუწყებდა ჭკითხვასა მოსამსახურესა, რომელსაც სახელად ერქუა გამილო ꝺ ეტყოდა მას ხმა მაღლა:

—კამილო!

კამილო ჩუჩულობისა მებრ იმ დროებაში მოიხრიდა წელსა სამ რიგად ꝺ პასუხსა უგებდა მკითხველსა:

—ბატონო.

—ვგონევ უფალსა გრაფსა ფრანჩესკოს კარგად ემინა ამ ღამეს?

—რა მოგახსენო არ ვიცი, არა მგონია, არა ვფიქრობ. გუშინ ბარათები მიიღო კელმწიფისაგანა ꝺ მგონია იმათა კითხულობს ეხლა.

იტყოდა რა ამასა კამილო, კარი კაბინეტისა ფრანჩესკო ჩენჩისა გაიღებოდა ꝺ შემოვარდებოდა წინეთ სასტრმროში საყუარელი მაღლი ფრანჩესკოსი, სახელად, რომელსაც ერქვა ნერონი ꝺ იყო მალიან დიდი ꝺ თავისა შეხედულებითა შეაშინებდა ნერონი იმ შეკრებილებასა, რომელიც უცდიდა ფრანჩესკოს ჩენჩსა, სასტუმროში.

წამოწოლილი კაცი მოიკვრებდა მაღლსა ხანჯლითა, ახალგაზდა ქალი ჩაიხუტებდა შჳლსა უბეში, ქმარი მისი

გარდეფარებოდა ცოლ-შჳლსა, რათა დაიცვას ისინი მა-ღლისგან; ორნი კაცნი, რომელნიც დასეირობდნენ ჩა-მოდგებოდნენ უკანა; მაღლი დაიწყებდა გულ მოსრუ-ლათ ყეფასა. მას უკან კარებში გამოჩნდებოდა მოხუცე-ბული კაცი, რომელიც იყო ფრანჩესკო ჩენჩი.—წინა-პარნი ფრანჩესკოსი იყო დიდებული ჩამომავლობითა და აგრეთვე სავსე ბოროტებითა.

ფრანჩესკო ჩენჩი იყო დიდათ მდიდარი, რომელსაც წელიწადში შემოსდიოდა მარტო სარგებელი ასი ათასი სკუდი. იმ დროებაში ესე სარგებელი ითვლებოდა დი-დათა და არც ამ დროებაში მიითვლება ცოტათა. ქონე-ბა ესე დაუტევა ფრანჩესკოს მამამ მისმა, რომელსაც ეჭირა საეკლესიო ხაზინა, როდესაც პაპათ რომისა იყო პიი V. ფრანჩესკო ჩენჩი იყო იმ გვარი კაცი, რომ მრავალი აქებდა იმას მისი კეთილ გუნებისათჳს, და ბე-ვრი აგინებდა მისის სიბოროტებისათჳს; ფრანჩესკო იყო მრავალჯერ დანიშნული ცუდს ყოფა-ქცევაში, მა-გრამ ყოველთჳს გამოვიდოდა სიმართლითა, თავის პირ-მომცნეობით.—

1870 წელსა.

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზა-ვნით, 7 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტიროზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ჵ თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою 15 Іюля 1870 г.